


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბოტი ბეჭდუბი სიფყაა, ფყილებით და ჭბბბით ბუბთის გაცხანა ყველა უკადრისბბბე უსბბბგულსია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 იანვარი, 2015 წელი.

№3 (7648)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

დიდი ბედნიერებაა ოჯახის უქმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მაღლის უენარჩუნება და გამრავლება

საზოგადოებრივი უფროდებისა და უნებარების. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მსხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და გიჭვინთვისა და სხუბ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ისა



„ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არის ქრისტესა, ეგრეთცა ცოლნი-თავისთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თავისი მისცა მისთვის“ (ეფ. 5.24-25).

ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული წინამძღოლი და მასაზრდოებელი;

ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ფუნქციაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამოორიცხავს.

როდესაც მეფე-დედოფალი ჯვარს იწერს, ისინი მღვდელთან ერთად სამჯერ გარშემო უვლიან ანალოლიას, რომელზეც სახარებაა დაბრძანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან მთელი ცხოვრება ერთმანეთს და ღმერთს დაუკავშირონ.

ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მაღლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური „მეს“-გან სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნი თავს მეორეს. ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხოვრებისათვის და მეუღლეობის საკვრელით დაკავშირებულნი წარდგენ ყოველთა მეუფის წინაშე.

დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მაღლის შენარჩუნება და გამრავლება.

როდესაც ადამიანი შეყვარებულია, იგი მისთვის სასურველ პიროვნებაში ხედავს ისეთ თვისებებს, რასაც შესაძლოა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ხდება მეორე ადამიანში დაფარული შინაგანი მშვენიერების აღმოჩენა.

„რა კარგი უნდა იყოს ერთი იმედით, მსახურებითა და რწმენით ორი გულის შეერთება, — წერს ტერტულიანე. ჭეშმარიტად, ისინი ორნი არიან ერთ სხეულად განმთლიანებულნი, ხოლო სადაც ერთი სხეულია, იქ ერთსულოვნებაა. ისინი ერთად ლოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ, ერთმანეთს ამხნევენ. თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე. თანაბრად ინანილებენ დევნასა და ნუგეშს, არაფერს უმაღავენ და არც ამძიმებენ ერთმანეთს... ხედავს რა მათ ერთობას, უფალი ხარობს, სახლს მშვიდობას მოჰყვებს და მკვიდრობს მათთან ერთად“.

ყოველადსამღვდელონი მღვდელმთავარნი, ღირსნი მოძღვარნი, დიაკონნი, ბერ-მონაზონნი, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, სომეხნი, აზერბაიჯანელო... ყოველნი შვილნი საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სამშობლოში მკვიდრნი და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენო, გიხაროდეთ!

„მოხედნა ღმერთმა და ყო სხნა „სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა ერისა თვისისა“ (ლკ.1,67). და დაემკვიდრა ჩუენ შორის“ (ინ.1,14).

დამთავრდა ძველი აღთქმის უამი და აღსრულდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყებო: ბეთლემის გამოქვაბულში ხორცშესხმული მოგვევლინა საუკუნეთა უწინარესი ღმერთი — ყრმა იესო.

ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთისმშობელი, რადგან დღეს ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოდგმა განღმერთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეფო ღირსებით იმოსება.

წმინდა ქალწულმა მარიამმა, „ძველის თანადების გამომსყიდველმან და მთელი ქმნილებისათვის ცხოვრების მშობელმან, გახსნა პირველ ევას მიერ შეკრული კვანძი და სამყაროს მარადიული სიცოცხლის სათავედ და ახალ დედად მოვევლინა“ (წმ. ირინეოს ლიონელი). სწორედ მისი სახით დაიწყო ქრისტიანული ერა რომელმაც მანამდე არნახულ სიმაღლეებს აზიარა ადამიანი.

ქრისტიანულ სწავლებაში სხვა დატვირთვა შეიძინა ოჯახურმა ურთიერთობამაც: „ცოლი როდია თვისი სხეულის უფალი, — არამედ ქმარი; არცა ქმარია თავისი სხეულის უფალი — არამედ ცოლი“ (1 კორინთ.7.4), — გვასწავლის მოციქული და დასძენს:

ნ. 2 გვ.

ამერიკას, ევროპას, რუსეთის!

ქლიარდება თუ არა საქართველოში რუსული იდეოლოგია?

რატომ არ გირჩევთ მსოფლიოს პირველი ინვესტორი სამომხმარებლო კრედიტის აღებას?

როგორი იქნება საქართველოსთვის 2015 წელი?

აიკულას თუ ნებაყოფლობით დათმო დაპიტი იაკობაშვილმა თავისი ნილი?

გეოსნებანი დაპირებულს კი არა, უკვე დაუპირებულსაც ასრულებენ...

სააფთიაქო ნარკომანიამ „შპს ბზარზე“ გადაინაცვლა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მაღლის შენარჩუნება და გაგრძელება

უწინდელისა და უწინდელის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მსხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და გიჭვინთვისა და სხვა-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საუბარო ანისტოლა

(პირველი გვერდიდან)

ცოლქმრულ ურთიერთობაში შემდგომი ეტაპი არის შვილიერება. ბავშვების დაბადება და მათზე მზრუნველობა სრულყოფის კიბეზე ამალღების ახალი შემსაძლებლობაა, რადგან მეუღლეთა ურთიერთსიყვარული, ამ შემთხვევაში, გრძნობის ხელახალ გადამაწვლას ითხოვს; ადამიანი კიდევ უფრო მეტად ემიჯნება ეგოისტურ „მე“ და კიდევ უფრო მეტად ფართოვდება მსახურების არეალი, რაც ღვთის სათნო ცხოვრებას განმტკიცებს.

როგორი სიფაქიზით გვწვრთნის უფალი! როგორ ნელ-ნელა და თანდათანობით ავყავართ მას უმაღლესი სიყვარულის საფეხურებზე, ყველა პირობას გვიქმნის, რომ ჩვენი დაცემული მდგომარეობისაგან გვიხსნას და მარადიული ნეტარებისთვის მოგვამზადოს.

ასეთი ოჯახი, ასეთი ერთობა ქალისა და კაცისა, სიმბოლურად „მცირე ეკლესია“ იწოდება, რომლის სიმტკიცეც დაურღვეველია.

თუმცა, ფაქტია, რომ ჩვენს ყოფაში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ოჯახები, სადაც უგულვებელყოფილია პასუხისმგებლობა და მოვალეობები; ისინი მოკლებულნი არიან ღვთის მადლს და უსიხარულოდ ცხოვრობენ ან, საერთოდ, ირღვევიან; უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ბევრი ადამიანის ცხოვრების წესი ოჯახური სინამდის წინააღმდეგ არის მიმართული. ბოლო პერიოდში კი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულდა, რაც ქორწინებისთვის ახალგაზრდების მოუზმადებლობით არის განპირობებული.

განვიხილოთ რამდენიმე გარემოება:

1. ქორწინებაში მყოფთ ხშირად მხოლოდ გატაცება აკავშირებთ და თანაცხოვრების პირობებშიც ვერ აღწევთ იმ სიყვარულს, იმ ერთგულებასა და თავგანწირვას, რისთვისაც არიან მოწოდებულნი, ამიტომაც მალევე კარგავენ ერთმანეთისადმი ინტერესს და სცილდებიან.

2. ახლად შეუღლებულნი, მართალია, სიყვარულით ქმნიან ოჯახს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეუღლეობა, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ და რას მოითხოვს იგი თითოეული მათგანისგან; ისინი ადვილად კარგავენ იმ განწყობას, რაც ერთად მყოფობის პირველ პერიოდში ჰქონდათ; იწყება იმედგაცრუება, ერთმანეთში მრავალი ნაკლოვანების აღმოჩენა და დაუთმელობა. გალიზიანება იმ მდგომარეობამდევს მიდის, რომ ერთ დროს სანუკვარი ადამიანი, უკვე აუტანელი ხდება.

3. მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებასა და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვინრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია.

საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლა და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომხმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიდგომა შეეხო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩინა. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლისს ხდის.

4. ხდება ისეც, რომ მშობლები ზოგჯერ უხეშად ერევიან წყვილის ცხოვრებაში. მათ უჭირთ შვილთან ერთგვარი განშორება და ძველებური ურთიერთობის შეცვლა; ისინი კრიტიკულად აღიქვამენ ახალ ვითარებას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხელის შემწყობნი ხდებიან ოჯახის დანგრევას.

რა თქმა უნდა, მშობლების პატივისცემა და სიყვარული ბუნებრივია არის და სავალდებულოც ყველასთვის; ასევე ბუნებრივია ახლობლების, მეგობრების, ნათესავების... სიყვარული, მაგრამ ცოლქმრული ყოფა სრულიად განსხვავებულია; ამისთვის ბრძანებს წმინდა წერილი: „მატკოვებს კაცი თავის მამას და თავის

დედას, შეუერთდება თავის ცოლს, რათა იყვნენ ორნივე ერთ ხორც“ (ეფ. 5.31). ეს საიდუმლო დიდია და მისი დარღვევა – აკრძალულია.

5. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ირღვევა ოჯახი, არის ნარკომანია (ასევე ალკოჰოლიანი სასმელების ზედმეტად გამოყენება) და ბოროტი ძალების გავლენით ადამიანებზე ზემოქმედება. ორივე მდგომარეობაში პიროვნებას წართმეული აქვს თავისუფალი ნება, ოღონდ პირველ შემთხვევაში, ადამიანი ვერ უძლებს საცდურს და მასზე მიჯაჭვულობის გამო, ფაქტიურად, ნებაყოფლობით ამბობს უარს თავისუფალ ნებაზე, მეორე შემთხვევაში კი, გა-

იქონიებს თვითმკვლელობა რიცხვის შემცირებაზეც. ადამიანები, განსაკუთრებით ურწმუნონი, თუნდაც, რომ ფიზიკურად ძლიერი იყვნენ, კრიტიკულ სიტუაციებში უსუსურნი ხდებიან, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობიან და რესურსი სიმტკიცისა მალე ენურებათ.

ავადმყოფობით, უსახსრობით, უბინაობით, ვალდებით ... გამწარებულებს ჰგონიათ, რომ თავის მოკვლით პრობლემებისგან განთავისუფლდებიან; სინამდვილეში კი ამ ქმედებით ისინი მარადიული ტანჯვისა და სიკვდილის იმ კარს აღებენ, სადაც მათ ვეღარავინ უშველის (გამონაკლისს სულით ავადმყოფები წარმოადგენენ).



უცნობიერებლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

არადა, თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძარია. უფალმა არ შეურაცხყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა.

ამიტომაც ეს ცოდვები ღვთის გმობად სახელიდება და მათგან განთავისუფლებას მხოლოდ ლოცვით, მარხვით და ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ეძებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესთვის (ფილ. 2,4).

სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადებრუნება – ჩვეულებად, გულგრილობა – წესად, უზნეობა და თავაშვებულობა – მისაბაძად; ცილისმამება და ძალადობა – ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის უმის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება.

აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში; განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გალიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება.

მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა, დიდად შეწყობა ხელი ოჯახში სხვა სახის ძალადობის აღმოფხვრასაც და ცხოვრების, ასე თუ ისე, ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას. ვეჭვობთ, ეს სერიოზულ გავლენას

წმინდა ილია მართალი წერს:

„ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, – მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას – „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – „დედა-ბურჯს, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“, გუთნის განმგებელ მამაკაცს კი – „გუთნის-დედას“.

რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა!

ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი გახდა. ღვთის საიდუმლო განგებულებით, კვართი უფლისა საქართველოში წამოზრდნადა და მცხეთაში დაიფლა. მისი აქ დაკრძალვა არ ნიშნავს მხოლოდ ამ ლოკალური ადგილის მონიშნას; სასწაულო მოქმედი უკერველი კვართი მაცხოვრისა მთელმა საქართველომ შეიმოსა, ხოლო ყოვლადწმინდა მარიამს, ამავე საიდუმლო განგებულებით, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მფარველობა დაევალა.

ჩვენი მოხბია იგი, რომელიც დამხსნელია ადამის წყევლისა, აღმასრულებელი ევას თანადებისა, წმინდა შესანირია აბელისა, სამკაულია სეთისა, სათნოყოფაა ენუქისა, კიდობანია პირმეტყველი ნოესი, დიდებაა მელქისედეკის მეფობისა და მღვდლობისა, რომელიც სიმტკიცეა აბრაამის სარწმუნოებისა, ზეცად მინვენული კიბეა იაკობისი, ღვთივწერილი წიგნია მოსესი, კვერთხია იგი განედლებული და აღყვავებული აარონისი, ძლევაი ისუ ნავესი, გზაა მშვენიერი ელიას ამაღლებისა, მრჩობლი კურთხევაა ელისეს ხალენისა, წინასწარმეტყველთა ქადაგებაა და სიტყვათა მათთა აღსრულება.

აი, ამ საოცარი ქალწულის მიერ ჩვენს განსანათლებლად და გადასარჩენად წარმოგზავნილი ანდრია მოციქულის, წმინდა ნინოსა და სხვა წმინდანთა მადლით საქართველომ, ხალხის დიდი მსხვერპლშენიერებისა და ძალისხმევის ფასად, საუკუნეთა მანძილზე გაუძლო ყოველი მხრიდან შემოსეულ მომხდურს; დღეს კი კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ.

ყველამ, – ერმაც და ბერმაც, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, საკუთარი ოჯახიცა და თავიც, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრება უნდა გამოვასწოროთ; ჩვენში და ჩვენს შორის დაბრუნებული ცოდვა და მისი შედეგი, – სიკვდილი უნდა დავძლიოთ და სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვება ვიზეიმოთ.

მაცხოვრის შობის ამ ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“ ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თავყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმინდა ქალწულს.

ჩვენც მოვიყაროთ მუხლი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედაღვთისმშობელს შევთხოვოთ, განგვიღოს მოწყალებისა კარი, რათა მადლით ალავესო ყოველნი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი.

მამ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შეუურიგდეთ ერთმანეთს, რათა ღირს ვიქმნეთ, მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისაგან განთავისუფლებულბა, აღმოვსთქვათ: ემმანუელ – ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთს ებარებოდეთ. ისარეთ ორსავე სოფელსა შინა.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, შობა ქრისტესი,
2014-2015 წელი.

საით მივდივართ?

საპარტიველოში რუსული იდეოლოგიის მოძიერების თემა კვლავ აქტუალური გახდა მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან მხოლოდ ექვსი წელია გასული და ამ ომის უმძიმესი შედეგები ლამის ყოველდღიურად გვახსენებენ თავს. ქვეყანაში რუსული იდეოლოგიისა და რუსული „მეზუთე კოლონიის“ მომზადებაზე საუბრობენ პოლიტიკოსები, ექსპერტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედია. თუმცა, ამ უაღრესად საჭირობოროტო თემაზე მსჯელობისას აშკარად შეიმჩნევა დამაჯერებელი ფაქტობრივი მონაცემების დეფიციტი.

შექმნილია პარადოქსული სიტუაცია. ქვეყანა ოფიციალური პოლიტიკის დონეზე ევროპისკენ მიისწრაფვის, თუმცა, საზოგადოებაში არის განცდა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ექცევა.

ბა, ცდილობს, სწორედ კონსერვატიული და ტრადიციონალისტური მიდგომების კულტივირებით მოახდინოს დასავლური ლიბერალური დემოკრატიის დემონიზაცია. გამოკითხვების თანახმად საქართველოს მოსახლეობის 40-45% ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ქართული ტრადიციების დაკარგვის საფრთხეს ასახელებს.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოში ანტიევროპული მიზეზის გავრცელებამ იმდენად ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ ევროკავშირი იძულებული გახდა მნიშვნელოვანი თანხები გამოეყო ამ მიზეზის გასაქარწყლებლად. ეს მიზეზი მოსახლეობას ცდილობენ ჩაუნერგონ აზრი, რომ ევროპასთან ინტეგრაცია საქართველოს ეროვნულ იდენტობასა და ტრადიციებს დააკარგვინებს. ამ მიზეზის დაბადებისა და გავ-

ლიონიანი მოსახლეობის პირობაზე, არც თუ ისე მცირე რიცხვია. **საინტერესოა, რომ აგვისტოს ომიდან 6 წლისთავზე, საქართველოს მოქალაქეთა 45-51% ან თვლის, რომ რუსეთიდან მომავალი საფრთხე გაზვიადებულია, ან მიაჩნია, რომ რუსეთი ქვეყნისათვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ წინა ხელისუფლებამ, რომელიც დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობდა, თავის პოლიტიკითა და აგრესიული რეფორმებით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საზოგადოების ერთ ნაწილში ანტიდასავლური განწყობილებების აგორებას. 2009 წელს ერთ-ერთ სოციოლოგიურ გამოკითხვაში რუსეთსა და ამერიკას შორის ქვეყნის სასურველი ორიენტაციიდან უმრავლესობა ამერიკაზე ორიენტაციას ანიჭებდა უპირატესობას. თუმცა, აშშ-ის მხარდაჭერა უფრო მეტად აღქმული იყო, როგორც ხელისუფლების, ვიდრე საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დახმარება.

2012 წელს წინასაარჩევნო პერიოდში სოციოლოგიური გამოკითხვისას, კითხვაზე: „ამერიკა შორს არის და ვერაფერს გვიშველის, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, თუნდაც უარი თქვას ამერიკასთან თანამშრომლობაზე, იმიტომ, რომ გაიუმჯობესოს რუსეთთან ურთიერთობა“, „ქართული ოცნების“ მომხრეთა 69.6%-ის უპირატესობა რუსეთთან, ხოლო ნაციონალისტების მხარდამჭერთა 73.6%-მა პრიორიტეტი ამერიკასთან ურთიერთობას მიანიჭა.

რუსეთისადმი ლოიალურობით ცნობილმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ „ევრაზიის ინსტიტუტმა“ 2014 წლის ნოემბერში ქვეყნის მასშტაბით სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარა მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ნატოსა და აშშ-ის მიმართ. გამოკითხულთა 66%-ის აზრით, „ნატო არასაკმარისად ეხმარება საქართველოს“, ხოლო 52%-ის აზრით, აშშ-ისა და ნატოს მიზნები და ინტერესები „არ ემთხვევა საქართველოს მიზნებსა და ინტერესებს.“ (!)


რამდენად არის ამგვარი განწყობები რუსული ტელეარხების და საქართველოში პრორუსულად განწყობილი ორგანიზაციების თუ პარტიების საინფორმაციო-პროპაგანდისტული კამპანიის და მოღვაწეობის შედეგი, ცალკე კვლევის საგანია. თუმცა, თუ სოციოლოგიური გამოკითხვებისა და ბოლო არჩევნების შედეგების მიხედვით ვიმჯერებთ, შეგვიძლია, დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ აგვისტოს ომიდან 6 წლისთავზე, რუსეთმა პოლიტიკური და საინფორმაციო-კულტურული თვალსაზრისით შეძლო საქართველოში პოზიციების მეტ-ნაკლებად აღდგენა.

სადღეისოდ საქართველოში აქტიურად მოქმედებს რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი მინიმუმ 8 საზოგადოებრივი და კვლევითი ორგანიზაცია, რამდენიმე გაზეთი და ინტერნეტპორტალი. მათი უწყვეტი ფუნქციონირება დიდი ალბათობით უწყვეტი დაფინანსების ხარჯზე ხდება და დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება მიხედვრას, თუ საიდან მოდის იგი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაციები დიდად არც მალავენ დაფინანსების წყაროებსა და პარტნიორებს. ყველა ზემოჩამოთვლილი ორგანიზაცია აქტიურ საინფორმაციო, სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ აქტივობას ეწევიან, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია რუსეთის ანალოგიურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუდმივ კონტაქტებს.

გარდა ამისა, საქართველოში არის მინიმუმ სამი პოლიტიკური პარტია, რომელთა პოლიტიკური პლატფორმა რუსეთთან სტრატეგიულ დაახლოებას ითვალისწინებს. ერთ-ერთმა ასეთმა პარტიამ და მისმა ლიდერმა საპრეზიდენტო და თვითმმართველობის არჩევნებში მესამე შედეგი აჩვენეს – 11%. ეს კი საზოგადოების განწყობების საკმაოდ მრავალსმთქმელი ინდიკატორია.

აპერიკას, ევროპას, რუსეთის!

კლირდება თუ არა საპარტიველო რუსული იდეოლოგია?



თუ იმ დაშვებიდან გამოვალთ, რომ რუსული იდეოლოგია ჩვენში მართლაც ძლიერდება, მაშინ გამოდის, რომ რუსული მოფლმხედველობა, ღირებულებითი ორიენტაციები და რაციონალურად განსაზღვრული პრინციპები ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სახელმძღვანელო იდეებია. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსული იდეოლოგია უდევს ან დაედება საფუძვლად მათ პრაქტიკულ მოქმედებებს და სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას.

საქართველოს დღევანდელი ისტებლშიშმენტი, დეკლარირებული პროევროპულობის მიუხედავად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს შავ-თეთრ ფერებში ადიქვამს და სხვაგვარად მოაზროვნებს ფაქტიურად მტრებად მიიჩნევს. მართალია, ხელი-სუფლების ცვლილების შემდეგ ეს ყოველივე ისე მწვავედ არ ვლინდება, მაგრამ რეციდივები აშკარად სახეზეა.

ერთ-ერთი სოლიდურობაზე პრეტენზიის მქონე გაზეთი წერდა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები და საქართველოში მათი მრავალრიცხოვანი აგენტურა ყველა შესაძლებლობებით ცდილობენ საზოგადოების ცნობიერების პოლარიზებას. ექს-თავდაცვის მინისტრი და პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ქვეყანაში რუსული იდეოლოგიისა და მისი გამტარებელი ორგანიზაციების გაძლიერებას, ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურების კონტრაბანდის სუსტ მუშაობას უკავშირებს. ალასანს საზოგადოება „ივერიამ“ პროკურატურას ოფიციალური განცხადებით მიმართა, რომლითაც საქართველოში რუსული საინფორმაციო ტელეარხების მაუწყებლობის აკრძალვას ითხოვს, რადგანაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აწარმოებენ.

რუსეთი, რომელსაც შესანიშნავად ჰყავს შესწავლილი ჩვენი საზოგადოე-

რცელების წყაროები დღემდე ვერ იქნა დადგენილი. შესაძლოა, იქნა კიდევ, მაგრამ ხელისუფლება ამაზე დუმს. მაშინ, როდესაც საქართველოში საერთაშორისო დონორთა მხარდაჭერით სახელდახლოდ შექმნილი საინფორმაციო რესურსები ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ ევროპული ორიენტაციის აუცილებლობასა და ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ სიკეთეებში, საზოგადოება რუსული მედიით ალტერნატიულ ინფორმაციასაც იღებს და შესაბამისად არჩევანის საშუალება ეძლევა. უფრო მეტიც, ინფორმაციასთან ერთად რუსეთი კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამს. ამის მკაფიო მაგალითია, ავარეთ-

საშობაოდ ილია მეორემ განაცხადა, „ევროპის ქვეყნები და აშშ 20 წელი გვეუბნებიან, რომ მხარს გვიჭერენ, მაგრამ რუსეთი მაინც თავისას აკეთებს. ამიგომ, ევროპასთან და ამერიკასთან ურთიერთობასთან ერთად, უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება რუსეთთან.“

კახეთის მშენებარე გზის მიმდებარე კახეთის სოფლებში რუსული პასპორტების და, შესაბამისად, რუსული პენსიისა და სოციალური ბენეფიტების დარიცხვა საქართველოს ხელისუფლების სრული წაყრების პირობებში. როდესაც ეს ხალხი რუსეთის დახმარებით ეკონომიკურად ოდნავ სულს მოითქვამს, რთული იქნება მათი დარწმუნება ევროინტეგრაციის სიკეთეებში, რომელიც ბევრი ჩვენი მოქალაქისათვის ჯერ კიდევ ძალიან შორეულ მომავლად მოჩანს.

მაგალითად, 2014 წელს, აპრილ-აგვისტოს სოციოლოგიურ გამოკითხვებში საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას რესპონდენტთა 65-69% უჭერდა მხარს, მაშინ, როდესაც წინა გამოკითხვებში ეს მაჩვენებელი 80-85% აღწევდა. შარშან ევრაზიულ კავშირში ქვეყნის განვერიანების მომხრეების მაჩვენებელმა კი 21% შეადგინა, რაც ქვეყნის 4.3-მი-

ალიანსიანი კლინაპილი მუნიციპალიტეტის მოკატორიუმის გამოსხალება ითხოვს

საპრეზულუს დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი თბილისის მერს დავით ნარმანიას ვაკეში, ვერასა და საბურთალოზე მიმდინარე მშენებლობებზე მორატორიუმის გამოცხადებისკენ მოუწოდებს.



თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ონიაშვილის ქუჩის №14-ში იმყოფებოდა, სადაც გუშინ დილით მშენებარე კორპუსის მეზუთე სართულის ორი კედელი ჩამოინგრა. ელისაშვილის განცხადებით, თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ და ნაციონალურმა მოძრაობამ საშინელი ნებართვები გასცეს, რაც ქალაქისთვის ნაღმის დადების ტოლფასი იყო.

„მოსვლის დღიდან ახალ საკრებულოს და მერიას ვეჩინებოდი, რომ ეს ნებართვები გაუქმდებინა და საბურთალოზე, ვერასა და ვაკეში მშენებლობებზე მორატორიუმები გამოეცხადებინა. ორსართულიანი სახლის გვერდით არ შეიძლება ამხელა შენობები შენდებოდეს. აქ ივლისში მოვიყვანე საბურთალოს გამგებელი და მაჟორიტარი. ეს მშენებლობა მაშინ დაწყებულიც კი არ იყო, მე ვამბობდი, რომ გავაჩეროთ, გადავხედოთ და შემდეგ გავაგრძელებინოთ, დღეს რომ ვიღაც მომკვდადიო, ხომ შეუფერხებდებოდნენ“, – განაცხადა ელისაშვილმა.

მისივე თქმით, დავით ნარმანია არის ქალაქის არჩეული მერი, მას უნდა ეყოს გამგებედაობა, გამოეგდეს და მშენებლობებზე მორატორიუმები გამოაცხადოს.

ონიაშვილის ქუჩაზე ნგრევის შედეგად არავინ დაზარებულა, თუმცა, მეზობლების ინფორმაციით, დაზიანებულია მეზობელი სახლების სასურავები.

ონიაშვილის ქუჩის მცხოვრებლები მიმდინარე მშენებლობას აპროტესტებენ. მათი განცხადებით, მშენებლობა ნებართვა უკანონოდ მოიპოვა. მათივე ინფორმაციით, მომხდარი შემთხვევის შემდეგ მშენებელი საპატრულო პოლიციამ წაიყვანა.

პოლიტიკური საქმიანობის უფლება ჩამოკრთიქვამი

სასაქმელაღსრულებლის და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს პოლიტიკური საქმიანობის უფლება არ ექნებათ. მოქალაქეს, რომელიც სპეციალურ პენიტენციური სამსახურის მოსამსახურედ დაინიშნება, პარტიის წევრობა შეუწყდება.

შესაბამისი ცვლილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში შედის. აღნიშნული პროექტი ერთ-ერთია იმ საკანონმდებლო პაკეტის ფარგლებში, რომელიც სასაქმელაღსრულების სფეროს ინსტიტუციურ რეფორმირებას ითვალისწინებს.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, პარტიის წევრობა ეკრძალებათ სამხედრო ძალების, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს. აღნიშნულ ჩამონათვალს, კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, სასაქმელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეები ემატება.

პარლამენტში წარდგენილია საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიღების შემდეგ სასაქმელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სასაქმელაღსრულების დეპარტამენტი ჩამოყალიბდება როგორც სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი – პენიტენციური დეპარტამენტი.

სოჭის ნაცვლად... სოხუმის ნავსადგურში

ბანხატიში ვაჭარი საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში, – ამის შესახებ მსჯელობს თურქული გამოცემა Hurriyet Daily News. საუბარია თურქეთის საგარეო კავშირების გაფართოებაზე აფხაზეთთან.

სტატის ავტორი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე 2010-2012 წლებში თურქეთთან მოლაპარაკებების პროცესში თავად მონაწილეობდა. ამჟამად იგი აცხადებს, რომ თურქეთი მაინც ავითარებს საგარეო კავშირებს აფხაზეთთან და ეს იმის მიუხედავად ხდება, რაც თავის დროზე საქართველომ აკრძალა აფხაზეთთან უცხოეთის სახელმწიფოების ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობა.

აფხაზეთ-თურქეთის შორის ურთიერთობამ ისე ღრმა „დატვირთვა“ შეიძინა, რომ 2013 წლის მონაცემებით, ორმხრივმა საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 600 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ეს ციფრები არაოფიციალურია, მაგრამ მეტ-ნაკლებად სინამდვილეს შეესაბამება. ვაჭრობა უმეტესად შავი ზღვის მეშვეობით თურქული გემებით ხორციელდება, რომლებიც ოფიციალურად სტამბოლის, სამსუნისა და ტრაპიზონის ნავსადგურებიდან ვითომდა სოჭში (რუსეთში) მიცურავენ, მაგრამ მათ სოჭამდე ნახევარი გზაც არ აქვთ ხოლმე გავლილი, რომ სოხუმის ნავსადგურში შედიან, იქიდან კი თურქეთში აფხაზეთის საექსპორტო პროდუქციით დატვირთვები ბრუნდებიან.

სერგი კაპანაძის თქმით, თბილისისთვის ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა წინა წლებში რამდენიმე თურქული გემი დააკავეს, რაც თბილის-ანკარას შორის დაძაბულობის მიზეზი გახდა. საბოლოო ჯამში, ყველა თურქული გემი გათავისუფლდა ან აუქციონზე გაიყიდა. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ამ აუქციონებში ის პირები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ეს გემები ეკუთვნოდათ, ანუ მათი მფლობელები იყვნენ.

„თურქეთის მცდელობა აფხაზეთთან ვაჭრობის განვითარების მიზნით, გასაგებია, ანკარას არ სურს, აფხაზეთი ეკონომიკურად იზოლირებული იყოს, რომ აფხაზეთში რუსული კომპანიები დომინირებდნენ. გასაგებია ისიც, რომ თურქეთში არსებული აფხაზეთის დიასპორა ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების გაფართოებას ცდილობს. მაგრამ, თავისი მიზნების მიღწევის მცდელობებით, თბილისის თვალში თურქეთმა რეპუტაცია დაკარგა – ანკარა არ არის ის კონტრუქციული ბროკერი (შუამავალი), რომელიც საქართველოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდა, რომელიც თბილისის ხელს შეუწყობდა აფხაზეთის მოსახლეობის წინაშე ნდობის მიღწევაში“, – აცხადებს სერგი კაპანაძე.

ექსპერტი ირაკლი ციციტიშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 600 მილიონი დოლარი არ არის ხელნამოსაკრავი თანხა, განსაკუთრებით, აფხაზეთისთვის, რადგან იქაური ბიუჯეტი 70 %-ით რუსეთის მიერ იკრება. თუმცა, ეს 600 მილიონი დოლარი არის მხოლოდ საგარეო მოცულობა და არა ის თანხა, რომელიც შეიძლება, დე ფაქტო რეჟიმს მთლიანად დაარჩეს.

ექსპერტი ადასტურებს, რომ 2014 წლის განმავლობაში აფხაზეთის მხრიდან თურქეთის მიმართულებით მაღალი აქტივობა შეინიშნებოდა, რაც მანამდე ამ სიხშირით არ ხდებოდა. მეტიც, აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო პალატის წარმომადგენლები ძალზე ხშირად ჩადიან თურქეთში, წარმომადგენლობითი შეხვედრები



რადგან იქაური ბიუჯეტი 70 %-ით რუსეთის მიერ იკრება. თუმცა, ეს 600 მილიონი დოლარი არის მხოლოდ საგარეო მოცულობა და არა ის თანხა, რომელიც შეიძლება, დე ფაქტო რეჟიმს მთლიანად დაარჩეს.

ექსპერტი ადასტურებს, რომ 2014 წლის განმავლობაში აფხაზეთის მხრიდან თურქეთის მიმართულებით მაღალი აქტივობა შეინიშნებოდა, რაც მანამდე ამ სიხშირით არ ხდებოდა. მეტიც, აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო პალატის წარმომადგენლები ძალზე ხშირად ჩადიან თურქეთში, წარმომადგენლობითი შეხვედრები

აქვთ, ხოლო სერგეი შამბას ძმა ტარას შამბა ძირითადად მოსკოვიდან მუშაობს ანკარა-სოხუმის დაახლოების თემაზე დიასპორის კუთხით.

„საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი – საგარეო საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტი და პრემიერი ამ წელს ჩასულები იყვნენ თურქეთში. ამის მიუხედავად, ქართულ-თურქული ურთიერთობების გაცივება აშკარაა. ჩვენთვის რთულია იმის თქმა, რეალურად თურქეთი რა პოზიციას იკავებს აფხაზეთთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ისინი აღიარებენ აფხაზეთს, როგორც საქართველოს ტერიტორიას, მაგრამ, მეორე მხრივ, გვიცხადებენ, რომ მათი ნომალდები კერძო პირებს ეკუთვნით და სწორედ ეს ნომალდები დადიან აფხაზეთში. ამდენად, თითქოს ოფიციალური თურქეთი ვერ აკონტროლებს ამ ნომალდებს. გარდა ამისა, აფხაზეთის გაზრდილ აქტივობებს თურქეთი ვერ შეუშლის ხელს, რადგან ეს ყველაფერი კერძო დონეზე ხდება. მთლიანობაში, ოფიციალურ დონეზე აფხაზეთის მიღება არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ თურქული დეპუტაცია მონაწილეობს ზოგიერთ აფხაზეთურ ღონისძიებაში“, – აღნიშნავს ირაკლი ციციტიშვილი.

თუ რატომ ჩერდებიან თურქული გემები სოხუმში, ექსპერტი ამას შემდეგნაირად ხსნის – სოხუმის ნავსადგურიდან ნახშირი გამოდის, რადგან თურქული კომპანიისაა ტყვარჩელის ნახშირმომპოვებელი საბადოები, იქითაც ჩააქვთ გარკვეული საქონელი და საგარეო ბრუნვა მიმდინარეობს. ამიტომ ვერ დავუშლით გემის მფლობელს სოჭში გამგზავრებას, თუ მას დოკუმენტში ოფიციალურად უნდა იქნას, რომ ის მიდის სოჭში, მაგრამ საჭიროა, დადოკუმენტირება იმისა, ნამდვილად განიტვირთა თუ არა გემი სოჭში, თუ ეს მოხდა საქართველოს ტერიტორიული წყლების დახურულ მონაკვეთში.

„თურქეთის აფხაზეთთან შუამავლის როლი აკანდროს შეუსრულებია. მას არ ჰქონდა იმის რეპუტაცია, რომ აფხაზეთთან ჩვენი საქმეები დაეღაგებინა. მართალია, ოფიციალური ანკარა ამას ახმოვანებდა, მაგრამ თურქეთს აფხაზეთში თავისი ინტერესები აქვს და შუამავლად არ გამოდგება. თურქეთმა მშვენივრად იცის, რომ ეს ჩვენთვის მტკიცე ნული თემაა, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ თურქული გემების საპასუხოდ? ამის გამო ბოიკოტს ხომ არ გამოვცხადებთ თურქეთს?“

მანანა ნოზაძე

(მისამხმ მკვრივად) პრორუსული ორგანიზაციების მიერ მასობრივი აქციების რამდენიმე მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მათმა მიტინგებმა ყველაზე ოპტიმისტური დათვლებით, ხუთასამდე მონაწილე ძლივს მოაგროვა. თუმცა, ეს არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ მათ მხარდამჭერთა ზაზა არ გააჩნიათ. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო მათი გულშემატკივრების დიდი ნაწილი უბრალოდ თავს იკავებდა რუსეთისადმი პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვის გარეშე. ამასვე საუბარს ბევრი ერიდება, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ აგვისტოს ომის დროს ჩვენს სამოქალაქო მოსახლეობას რუსი აგრესორებისათვის არათუ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ზოგიერთი თანამშრომლობდა კიდევ მათთან.

ამ ეტაპზე რუსეთის ამოცანა მინიმუმია ქართველ საზოგადოებაში ისეთი საანფორმაციო და მენტალური მენისტრიმის შექმნა, რომელიც რუსეთისგან შეძლებისდაგვარად მოხსნიდა მტრის ხატის იმიჯს, სამაგიეროდ, გააძლიერებდა სკეპტიციზმს დასავლეთის მიმართ. ამოცანა მინიმუმში შედის, საქართველოში პრორუსულად განწყობილი ჯგუფების ცნობადობის გაზრდა და პოზიციონირება, ასევე რუსეთსა და საქართველოს შორის კულტურული, სამეცნიერო, ჰუმანიტარული კავშირების გააქტიურება. სხვათაშორის, რუსეთის უსაფრთხოების 2014 წლის ახალ დოქტრინაში განსაკუთრებული როლი ენიჭება პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული ენის როლის გაძლიერებას და მისი როგორც ერთაშორისი კომუნიკაციის საშუალების განვითარებას. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, სპეციალური კვრები და დასვენებული რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების სტუდენტებისათვის, იმისათვის, რომ მათგან მომავალი სპეციალისტები და ლიდერები მოამზადონ. უცნობია, რამდენმა ქართველმა ახალგაზრდამ ისარგებლა ამ პრივილეგიით.

ამერიკას, ევროპას, რუსეთს!

კლირდება თუ არა საქართველოში რუსული იდეოლოგია?

ბუნებრივია, რუსულ ტელეარხებს ამ ყველაფერში თავიანთი წვლილი შეაქვთ. მრავლისმეტყველია ისიც, რომ მათი აკრძალვის რამდენჯერმე დაყენებულმა მოთხოვნამ ფართო საზოგადოების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. რუსული საინფორმაციო ტელეარხების აკრძალვა, რა თქმა უნდა, შეამცირებს მათ პროდუქციაზე ჩვენი მოსახლეობის წვდომას, თუმცა, ბოლომდე ვერა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მოსახლეობის 45%-ს ხელი მიუწვდება ინტერნეტზე. გარდა იმისა, რომ რუსული ტელეარხების აკრძალვა სერიოზულ გართულებებს გამოიწვევს რუსეთთან, ეს ირიბად იქნება იმის აღიარებაც, რომ ჩვენ ვერ ჩამოვყალიბდით თვითკმარ და შემდგომ საზოგადოებად, თუკი რუსულ ტელეარხებს შეუძლიათ ასე იოლად შეგვაცვლავინონ მსოფლიმდევლობა.

საზოგადოებისათვის ცნობილი პირების ან მედიასაშუალებების, ზოგჯერ მიზანმიმართულად, ზოგჯერ ემოციურად, გაკეთებული ანტიდასავლური პათოსით გამსჭვალული განცხადებები და პუბლიკაციები, თავიანთ ნეგატიურ კვალს ტოვებენ საზოგადოების ცნობიერებაში. რუსეთის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია, რომელიც საზოგადოებაში ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს. ნდობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი კი ბევრწილად მისი უწმინდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ავტორიტეტიც არის განპირობებული. ახლახან ილია მეორემ განაცხადა, „ევროპის ქვეყნები და აშშ 20 წელი გვეუბნებიან, რომ მხარს გვიჭერენ, მაგრამ რუსეთი მაინც თავისას აკეთებს. ამიტომ, ევროპასთან და ამერიკასთან ურთიერ-

ობასთან ერთად, უნდა დავინყოთ მოლაპარაკება რუსეთთან.“ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს რეალურად რუსული საინფორმაციო-პროპაგანდისტული და იდეოლოგიური გავლენების გაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე ჩვენს სამოქალაქო სექტორზე და ეროვნულ პოზიციებზე მდგომ მასმედიაზე გადადის, რომელიც ჯერჯერობით მეტ-ნაკლებად უმკლავდება ამ საქმეს. თუმცა, მხოლოდ მათი ძალისხმევა, ალბათ, ვერ იქნება საკმარისი.

თუ ემოციებს დროებით გვერდზე გადავდებთ, და საზოგადოების განწყობის ობიექტურ მაჩვენებლებს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს არა იმდენად რუსული იდეოლოგიის მომლაპარაკებას, არამედ უფრო მის მცდელობას კონკურენცია გაუწიოს საქართველოში ევროპულ და დასავლურ ღირებულებებს. ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა ჩამოყალიბებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის ერთ-ერთი დედაბოძი პოლიტიკური პლურალიზმია, რომელიც გულსხმობს განსხვავებული აზრების, კულტურების, ღირებულებებისა და პოლიტიკური ორიენტაციების თანაცხოვრებასა და ცივილურ კონკურენციას. „ცივი ომის“ ყველაზე უფრო მძაფრ პერიოდებშიც კი დასავლეთ ევროპაში არავის აუკრძალავს კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელი ორგანიზაციები და მათი მედიასაშუალებები, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან ფინანსდებოდნენ. უზარმაზარი ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის მიუხედავად, რუსულმა კომუნისტურმა იდეებმა და მათმა გამტარებლებმა იქ ვერავითარი სერიოზული გავლენა საზოგადოებაზე ვერ მოახდინეს და თანდათანობით გაქრნენ არენიდან. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის იყო,

რომ მათ საპირწონედ ძლიერი სახელმწიფო იდეოლოგია და ფუნდამენტური ღირებულებებზე საზოგადოების სრული კონსოლიდაცია დასვედა.

საქართველოში რუსული და ევროპული ფასეულობითი ორიენტაციებისა და განვითარების მოდელს შორის კონკურენციისაგან არც ტრაგედიის შექმნაა საჭირო, არც პიარზე გათვლილი განცხადებები ატყვავს და არც „კუდიანებზე ნადირობა“. ეს უკუშედეგს გამოიღებს. მითუმეტეს, რომ ზემოაღნიშნული პრორუსული ორგანიზაციები კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებენ. მათ შორის რაიმე რეპრესიების დაწყება, ერთი მხრივ, წინააღმდეგობაში მოვიდოდა დემოკრატიის პრინციპებთან, მეორე მხრივ, რუსეთს დამატებით საბაზს მისცემდა დესტრუქციული ქმედებებისათვის.

ასევე, სასიფათო საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც თანაბრად დისტანცირებულია როგორც რუსეთისგან, ასევე დასავლეთისგან, „პრორუსული ორიენტაციის“ დაბრალება და მათი დემონიზაცია. იდეოლოგიის კუთხით ჩვენს საზოგადოებაში არსებული ასეთი „დომხალი“ და კონფრონტაციული მუხტი, როდესაც, ერთი ცდილობს საარსებო გარემო მოუშალოს მეორეს, სწორედაც რომ ხელსაყრელ გარემოს ქმნის რუსული იდეოლოგიის გასაძლიერებლად.

რუსული გავლენის გავრცობის მცდელობას ისეთივე ეფექტური და ცივილური მეთოდებით უნდა ვებრძოლოთ, როგორც ეს ევროპამ გააკეთა. ევროპამ კი ეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მორალური უპირატესობის, მტკიცე იდეოლოგიის, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოდელის წარმატების დამაჯერებელი დემონსტრირებით მოახერხა. ძლიერი ეროვნული სახელმწიფო იდეოლოგიის შექმნის გარდა, რუსულ იდეოლოგიასთან ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოსახლეობისათვის ამის რეალური პერსპექტივების დანახვა იქნებოდა.

ზაალ ანჯაფარიძე

ფული და ჩვენი



თანამედროვეობის სოციალური ჭირი

ჩაბომ არ გირჩავთ მსოფლიოს პირველი ინვესტორი სამომავლო კრედიტის აღებას?

უორენ ბაფეტი ყველაზე ცნობილი და მდიდარი ინვესტორია მსოფლიოში. „ფორბსის“ 2014 წლის მონაცემებით, იგი მეოთხე ადგილზეა პლანეტის მილიარდერთა სიაში. მისი ქონება 58,2 მლრდ დოლარით არის შეფასებული.

ბაფეტი 1930 წელს დაიბადა ამერიკაში, ომაჰაში. ის ბიზნეს-მენ ჰოვარდ ბაფეტის ერთადერთი ვაჟია — ოჯახში მის გარდა, ორი გოგონა იზრდებოდა. 1942 წელს მამამისმა აშშ-ის კონგრესის არჩევნებში გაიმარჯვა და ოჯახი ვაშინგტონში გადავიდა საცხოვრებლად, სწორედ იქ დაასრულა განათლება.

6 წლის იყო, როცა 25 ცენტად იყიდა პაპის მალაზიაში ყუთი კოკაკოლა, მერე კი თითოეული, ექვსი ბოთლი, 5 ცენტად გაყიდა. საბოლოოდ 50 ცენტად მიიღო. ეს მომავალი მილიარდერის პირველი მომგებიანი საქმე იყო. 11 წლისამ ბირჟაზე სცადა ბედი — დასთან ერთად ერთ-ერთი კომპანიის პრივილეგირებული აქციები იყიდა და მერე გაყიდა. 13 წლისამ შეადგინა თავისი პირველი შემოსავლების დეკლარაცია, რომელშიც უკვე ჩანდა მისი საქმისწარმოების პირველი კაპიტალი, 10 ათასი დოლარი, მას მერე გამოიმუშავა, რაც ბიზნესიდეა — საპარკმახეროში პინბოლის ავტომატების დამონტაჟება — სარფიანად გაყიდა. მერე და მერე სულ უფრო სერიოზული გახდა მისი გეგმები, მიზნები და საქმიანობა.

გარდა იმისა, რომ ძალიან წარმატებული ბიზნესმენია, დიდი ქველმოქმედიც არის. 2010 წელს უანგაროდ გადასცა თავისი ქონების 50%, დაახლოებით 37 მლრდ დოლარი, ხუთ საქველმოქმედო ფონდს. თანხების დიდი ნაწილი ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის მმართველობაში გადავიდა. ეს ყველაზე გულუხვი საქველმოქმედო აქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში.

უორენ ბაფეტის „მსენაბი“:

- ინვესტირება იმას ნიშნავს, რომ ფული დააბანდოთ დღეს და ხვალ მიიღოთ გაცილებით მეტი. დახარჯეთ იმაზე ნაკლები, ვიდრე შოულობთ.
- თვითონ ბაფეტი წლების განმავლობაში საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა: იმის ნაცვლად, რომ ძვირად ღირებულ კოტირებში ეცხოვრა და რესტორნებში ევასშმა, ყოველი თავისუფალი ცენტით აქციებს ყიდულობდა. 35 წლის განმავლობაში მან 100 ათასი დოლარი 200 ათასი პროცენტით გაზარდა.
- იყიდეთ მხოლოდ იმ კომპანიების აქციები, რომელთა პროდუქცია კონკრეტულად თქვენ მოგწონთ.
- მაგალითად, უორენ ბაფეტმა მკვეთრად გაზარდა თავისი ქონება, როცა მისთვის საყვარელი „ჯილეტის“ სამართლებლების მწარმოებელი კომპანიის აქციათა 9-პროცენტის პაკეტი იყიდა.
- არასდროს ჩადეთ ფული იმ სფეროში, რომელსაც არ იცნობთ.
- არასდროს გამოიჩინოთ ზედმეტი თავაზიანობა წამგებიან სანარმოებთან — ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იმათთან, რომლებიც არ მოგწონთ.
- ყოველი მზარდი აქციის უკან წარმატებული ბიზნესი დგას.
- ფული დააბანდეთ საერთაშორისო ქსელის მქონე ბიზნესში.
- ბაზარზე არის მომგებიანი და ლიდერი აქციები, სწორედ ისინი უნდა იპოვოთ. როგორც წესი, ზოგიერთი კომპანია სხვებზე სწრაფად იზრდება. სწორედ ასეთები უნდა იპოვოთ და მათზე გააკეთოთ აქციები.
- სიმდიდრე სულის მდგომარეობაა. მე ვიცოდი, რომ მდიდარი ვიქნებოდი. ამაში არასდროს დავეჭვებულვარ.
- წარმატება უფრო მეტია, ვიდრე მსხვილი საბანკო ანგარიში.
- არ აიღოთ სამომხმარებლო კრედიტები — რაც უფრო სწრაფად მიხვდებით, რომ მომხმარებლობა თანამედროვეობის სოციალური ჭირია, რომელიც მსხვილმა კორპორაციებმა გამოიგონეს, რათა ადამიანები აიძულონ, მათთვის იმუშაონ, მით სწრაფად იტყვიან უარს უსარგებლო რამეებზე. მხოლოდ სულელი იყიდის დღეს იმას, რის გამომუშავებდაც ხვალ მოახერხებს. ერთხელაც სამუშაო დღეები დასრულდება, ვალი კი დარჩება.
- სწორად შეარჩიეთ კერპები — დრო გაატარეთ იმ ადამიანებთან, რომლებსაც თქვენზე უკეთესებად მიიჩნევთ. ეს დაგეგმარებათ სწორი მიმართულებით სვლაში.
- აზარტული თამაშები სულელებისთვის არის მოგონილი. წესი პირველი: არასდროს დაკარგოთ ფული; წესი მეორე: არასდროს დაგავინდეთ წესი პირველი.
- გულუხვობა და შეძლება ხელისხელჩაკიდებულნი დადიან. იმ მილიარდერებს შორის, რომელთაც ვიცნობ, არ არიან ისეთები, რომელიც ფულს ძალიან შეუყვლია. თუ გამდიდრებამდეც რეგენები იყვნენ, მერე უბრალოდ მილიარდერი რეგენები გახდნენ.

bpn.ge

ბიზნესი

აიკულს თუ ნებაყოფლობით დათმო დაპით იაკობაშვილმა თავისი წილი?

რუსული ნავთობგიგანტი — „როსნეფტი“ Petrocas Energy Group-ის 49%-ს ყიდულობს, რომელიც ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის კუთვნილებაა. რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი აცხადებს, რომ ეს გარიგება „პეტროკასის“ წარმატების კიდევ ერთი დასტურია და ზემოხსენებული ბიზნესგარიგება საქართველოს საინვესტიციო მიზიდველობას კიდევ უფრო აამაღლებს, მიიზიდავს მეტ სატრანზიტო ტვირთს, გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს და გაზარდის სახელმწიფოს შემოსავლებს.

რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი ბენზინგასამართი სადგურების ქსელის მფლობელ კომპანია „გალფს“, რომელიც ასევე, „როსნეფტის“ ხელში აღმოჩნდა, მისი ისტორიაც ჩახლართულია. მას შემდეგ, რაც ბიზნესმენ ჯემალ ლეონიძეს ძალადობრივად დაათმობინეს კომპანია „მაგნატის“ კუთვნილი ქონება, „მაგნატი“ „გალფის“ ხელში აღმოჩნდა, რომლის უკანაც დავით კეზერაშვილი იდგა. საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი არც მალავდა, რომ ნავთობკომპანია „გალფ-ჯორჯიას“ ერთ-ერთი მენილე იყო. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით იაკობაშვილმა „გალფის“ აქციები სწორედ კეზერაშვილისგან იყიდა. ამის მიუხედავად, ქართულ მედიაში იაკობაშვილს კვლავაც კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორად ასახელებდნენ. თუმცა, ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კომპანია „გალფის“ მსხვილი აქციონერი დავით იაკობაშვილი კომპანიის ყოფილ მფლობელსა და თავდაცვის ექსპერტს დავით კეზერაშვილს ემიჯნებოდა. ის აცხადებდა, რომ კეზერაშვილთან ურთიერთობები არ ჰქონდა და არც მის ყოფილ ბიზნესპარტნიორად არ ითვლებოდა.



დღესდღეობით, რუსეთში მოღვაწე ცნობილი ბიზნესმენის დავით იაკობაშვილის ოპტიმიზმის მიუხედავად, კითხვას აჩენს ფაქტი — ხომ არ გახდება ფოთის პორტის ნაწილი რუსეთისთვის პოლიტიკური მანიპულირების საშუალება და ხომ არ გამოიყენებენ მას საბოტაჟის მიზნით?

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვიანიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დავით იაკობაშვილი მოსკოვში საკმაოდ გავლენიანი ბიზნესმენია, თუმცა, მან თავისი კომპანიის მხოლოდ 49%-იანი წილი გაასხვისა და ეს სულაც არ ნიშნავს, „როსნეფტის“ მმართველობას. სინამდვილეში, მმართველობა ისევ რჩება „პეტროკასის“ მხარეს.

„როსნეფტის“ მიერ ფოთის პორტის და „გალფის“ ნაწილის შექენა კერძო გარიგებაა. თუ არ ჩავთვლით, რომ „როსნეფტი“ არის სანქცირებული კომპანია, რომელიც დასავლეთის მხრიდან სანქციებშია მოყოლილი, ისე სხვა მხრივ, რაიმე განსაკუთრებული არ ხდება. თუ ჩვენ შევამჩნევთ რაიმე ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას, ბუნებრივია, სახელმწიფო იმოქმედებს, მაგრამ არა მგონია, „როსნეფტს“ რაიმე ისეთი ჰქონდეს დაგეგმილი, რომელიც ჩვენს ქვეყნის ინტერესებს დააზიანებს. არა მგონია, ფოთის პორტში ტვირთების მოძრაობა დაბლოკონ, რადგან „როსნეფტი“ პორტის მფლობელი არ არის, მხოლოდ ერთი ტერმინალის მფლობელია და 49%-იანი წილი არ აძლევს გადაწყვეტილების მიღების უფლებას. ჩაკეტვა რომ სდომოდათ, რუსები დავით იაკობაშვილის ხელით აქამდეც გააკეთებდნენ მაგას. ასე რომ, რუსული სახელმწიფო კომპანია იქნება ამ აქტივში, თუ ის კომპანია, რომელსაც რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი (დავით იაკობაშვილი)

მართავს, ამაში დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. საქართველოში ისედაც არსებობენ რუსული კომპანიები, მაგრამ ჯერჯერობით მათ ანტისახელმწიფოებრივად არ უმოქმედიათ“, — აცხადებს ირაკლი ლექვიანიძე.

რაც შეეხება „როსნეფტის“ სამომავლო მზარდ მიზნებს მთლიანი ფოთის პორტის ხელში ჩაგდებას თვალსაზრისით, ექსპერტი თვლის, რომ გააჩნია, რა აქტივებზე ექნება „როსნეფტს“ მომავალში პრეტენზია. თუ პორტზე ექნებათ პრეტენზია, მაშინ შეგვიძლია, ვივარაუდოთ და ვისაუბროთ საფრთხეებზე, თუმცა, სარკინიგზო გადაზიდვებიც ერთ-ერთი საკმაოდ სერიოზული სექტორია და, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ტიპის გარიგებები მაინც საყურადღებოა. ამის მიუხედავად, ირაკლი ლექვიანიძის აზრით, წინასწარ საბოტაჟზე ფიქრი არ შეიძლება.

„ჯერჯერობით მათ არ გამოუხატავთ პრეტენზია პორტის გარშემო, პორტს ფლობს დანიური კომპანია „მაერსკი“ და, თუ „როსნეფტს“ ეს ინტერესები გაუჩნდება, მაშინ ეს თემა „მაერსკისთან“ იქნება გასარკვევი. სავარაუდოდ, ჩვენც გვექნება ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ნამდვილად არ არის სასურველი, რომ საქართველოში ფოთის პორტს ფლობდეს „როსნეფტი“.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ კერძო კომპანიის გადაწყვეტილებაა, ვის მიჰყიდოს თავისი ქონება და ამაში შეზღუდული არავინ

არის. თუმცა, მეორე საკითხია, რაიმე იძულება ხომ არ იყო დავით იაკობაშვილთან მიმართებით, რომ მას დაეთმო თავისი წილები, რადგან დავით იაკობაშვილი საკმაოდ წარმატებული რუსი (და არა — ქართველი) ბიზნესმენია, მან თავისი საქმიანობა ძირითადად რუსეთში განახორციელა, მისი აქციების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ისევ რუსეთშია, მისი ინტერესები საქართველოში შედარებით მცირეა. ამიტომ პაატა შეშელიძე არ გამოირჩევა, რომ ბიზნესმენს სხვა მიმართულებით შეღავათების დაწესება, ან უბრალოდ, ანაზღაურების საფასურად ასეთი გარიგება შესთავაზეს. შესაბამისად, ეს გარიგება შეიძლება ყოფილიყო ნებაყოფლობითი ან იძულებითი.

„როსნეფტის“ მიერ საბოტაჟის განხორციელება საქართველოში, დიდი ალბათობით, შეუძლებელია, რადგან რუსეთი ფლობს საქართველოში „ენგურ-ჰესს“, მაგრამ საბოტაჟის საშუალება და ინტერესი მას არ ჰქონია. ამიტომ ამას გლობალურად უნდა შევხედოთ, რა არის საქართველოში შესაძლებელი და რა — არა. ამ შემთხვევაში, ეს არის კონკრეტული კომპანია, რომელსაც უნდა მოგების მიღება. თუ კომპანია მოგებას მიიღებს, ეს იქნება წარმატებული სათავისოდაც და ჩვენთვისაც, მაგრამ მთავარია, ეს არ იქნება გამოყენებული საბოტაჟის და სხვების ინიციატივების ჩასახშობად, რომ არ ჰქონდეს მას პრივილეგირებული მდგომარეობა და იმის საშუალება, რომ დამატებითი შემოსავლები მიიღოს სხვებზე იძულების წესით. თორემ დაზღვეულნი არაფრისგან ვართ. ხომ ხედავთ, სოფლის მეურნეობის კომდუტებზე რუსეთმა ემბარგო შემოიღო. თუ კომპანია გაჩერდება, უნდა გვექონდეს ამის ალტერნატივა. „როსნეფტს“ არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ გაჩერებით საბოტაჟს შეგვიქმნის და დააზიანებს ჩვენს ქვეყანას“, — აცხადებს პაატა შეშელიძე და განმარტავს, პირადად მასზე რომ იყოს დამოკიდებული, არ მიესალმებოდა სხვა ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის დაშვებას საქართველოში კერძო მესაკუთრის სახით.

მანანა ნოზაძე

ალიანალიანი

უკანონოდ გარეხილი ნაქვნიარი მარტვილში

რომპორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის თანამშრომლებმა, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კურზუს ტერიტორიაზე, დაუდგენელი პირების მიერ მოჭრილი და დასაწყობებული 30-



მდე კუბური მეტრი ნაძვის ჯიშის ხეცე (მრგვალი მორები) აღმოაჩინეს. სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს გარემოზე მიყენებული ზიანის დადგენა. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას გადაეგზავნება.

ინტერპრესი

საზოგადოებრივი ცხოვრება

მეოსნებანი დაპირებულს
ქი არა, უკვე დაუპირებულს
ასრულებენ...

მასწმინდის, სოფელში ქათამს რომ დავკლავდით, სასიკვდილოდ გაფართოებულს ჯერ წრეს შემოვავლებდით და მერე ზედ დანას დავადებდით, რათა ფართხალი შეეწყვიტა სიცოცხლის შეწყვეტის ნიშნად... და აი ჩვენმა მთავრობამ, რასაკვირველია, უწინარესად ჩვენზე ზრუნვის მიზნით, ქათმის დაკვლის ეს ძველი, მამაბაბური წესი შეცვალა და ქათმის დაკვლის წესის შესრულებაზე კონტროლი გაამკაცრა. ახალი დაკლული ქათამი საფაქრო დახლზე რომ მოხვდეს, ზედ დანის ნაცვლად ვეტერინარული მოწმობა-ფორმა №2 უნდა ედოს. თუ არადა, მეფრინველე რომელსაც ეს ფორმა არ ექნება, 1000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო თვითონ საცოდავი დაკლული ქათამი სანამ მყიდველის მუცლამდე ჯერ სუფრაზე აღმოჩნდება, ახალი დადგენილებით „განადგურებას“ დაექვემდებარება.

ზემოსხენული ფორმა №2 იმას ითვალისწინებს, რომ ქათამი საგანგებოდ შექმნილ სასაკლავო უნდა დაიკლას, სადაც „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერილების“ საწარმოო სისტემა დაინერგა.

მსგავსი სასაკლავო კი საქართველოში მხოლოდ 2 კომპანიაა „ბიუ ბიუ“ მწარმოებელი „ჩირინას“ და „კოდას“ აქვთ. ხოლო დანარჩენი მცირე ფერმერები, საოჯახო მეფრინველებში 200-დან 2000-მდე ფრთა ფრინველი რომ ჰყავთ, ძველი, მამაბაბური წესით დაკლულ ქათამს ვეღარ გაიტანენ ბაზარში... ამ ბიზნესში კი თურმე დღესდღეობით 15 ათასამდე ადამიანი ჩართულია, რომელთაც, ამ ახალი ვაინის თანახმად, უსაქმრობისგან გულზე ხელების დაკრეფა ელოდებათ.

ბევრს გვახსოვს, დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ამ რამდენიმე წლის წინათ საქონლის ხორციან დაკავშირებით, როცა ყველას ნატახტარში ცეზარ ჩოჩიელის სასაკლავო უნდა ჩაეყვანა დასაკლავი პირუტყვი... რამაც კიდევ უფრო ბევრად გააძვირა ისედაც კარგა გავარიანად გაძვირებული ყველანაირი „ჩირია“.

ახლა არცთუ კეთილმოსაგონარ ბატონ ცეზარს მეგვიდრეუბად „ბიუ ბიუ“ და „კოდა“ გამოუჩნდნენ... ასე რომ, როცა გორც ჩანს, დაკლული ქათმის ყიდვამდე ჯერ კიდევ ერთი ახალი პრობლემის „დაკვლა“ – მეტი ფულის შოვნა მოგვიწევს...

ბოლოს ისლა დაგვრჩენია, ახალი წესით დაკლული კახიხელა დედლის წონა მადლობა ვუთხრათ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტს და იმის უფროსს კანა სოხაძეს ქათმის ხორცის მოყვარულთა მიმართ ესოდენი ზრუნვის გამოჩენისთვის.

რაც შეეხება მეოცნებეთა წინასაარჩევნო დაპირებებს – სამართლიანობის აღდგენას, ტარიფების განახევრებას თუ პენსიის 230 ლარამდე გაზრდას, ეტყობა, ჯერ ქათმის დაკვლის ახალი წესის შემოღება არჩიეს.

მართალი რომ ითქვას, სწორიც არის, თუ ყუათიანად და ძვირფასად არ ვიკვებთ, გამოფიტულ და დასნებოვნებულ საზოგადოებას ვეღარც სამართლიანობის აღდგენა, ვეღარც ტარიფების განახევრება და ვეღარც პენსიის 230 ლარამდე გაზრდა გვიშველის.

ხელისუფლება, მოგესხენებათ, ქვეყნისთვის იგივეა, რაც ადამიანის ორგანიზმისთვის ტვინი, ტვინმა კი, ისევე მოგესხენებათ, ბევრად მეტი იცის, ვიდრე ადამიანის ორგანიზმის სხვა ორგანოებმა.

ქათმის ტვინი კი აქ, რა თქმა უნდა, სულაც არაფერ შუაშია.

გუჯულა კრიახაშვილი



ალიანგალიანი

პოლას პირუსის პრტი-პრტი მძიმე
უბანზე ქართველი მძიმე მუშაობს

ამის შესახებ დაავადებთა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განაცხადა.

მისი თქმით, არჩილ ლავრადაშვილი სიერა ლეონეში ერთ-ერთ მძიმე უბანზე უკვე ორი კვირაა, იმყოფება.

პაატა იმნაძემ საქართველოში ებოლას ვირუსის საფრთხეებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ მხრივ საქართველოს საფრთხე არ ემუქრება, რადგან ქვეყანას არა აქვს ამ ქვეყნებთან სწორი კონტაქტი და ურთიერთობა.

ინტერპრესი

მოგავლის უზანისტიკა



ქალაქთმშენებლობის პერტიკულაჟი

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ წელს, დედამიწაზე სულ 200-275 მილიონი კაცი ცხოვრობდა. მოსახლეობის რიცხოვნობის ერთ მილიარდამდე მიღწევას კაცობრიობას თვრამეტი საუკუნე დასჭირდა. მერე მილიარდის „ზღურბლის“ აღებას 100 წელი მოუწია და ეს 1930 წელს მოხდა, მესამე მილიარდის გადაბიჯებას კი მხოლოდ სამი ათეული წელი დასჭირდა – 1960 წელს უკვე ოთხ მილიარდზე მეტი ვიყავით, 1975 წელს ანგარიში მეექვსე მილიარდმა გახსნა.

დღესდღეობით დედამიწაზე მცხოვრები რვა მილიარდზე მეტი ადამიანის აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქებში ბინადრობს, 2020 წლისთვის კი მეგაპოლისებში თავმოყრილი იქნება მოსახლეობის 90 პროცენტი. ამჟამად მრავალ ასეულ კილომეტრზე გაშლილი მეგაპოლისების რიცხვი დედამიწაზე ოთხ ათეულს უახლოვდება, მათ შორისაა ნიუ-იორკი, ჯაკარტა, ლონდონი, ოსაკა, კალკუტა, მეხიკო და სხვები. იოკოჰამასთან შერწყმის შემდგომ ტოკიოს დაახლოებით 3700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია უკავია, სან-ფრანცისკო კი წყნარი ოკეანის გასწვრივ 20-კილომეტრიან ზოლად 150 კილომეტრზე გაიჭიმა! გერმანიის „მრეწველობის გულად“ წოდებული რურის ოლქი – ესაა სამრეწველო საწარმოებით უკიდურესობამდე გაჯერებული უზარმაზარი ქალაქი, რომელიც სიგრძეში 300, სიგანეში 30 კილომეტრზე მეტად არის გაშლილი.

ბოლო წლებში სულ უფრო მეტად მძაფრდება კონფლიქტი დიდი ქალაქების ქუჩების ქსელსა და ტრანსპორტის შორის, პიკის საათებში კი ყველა მათგანის ცენტრალური უბნები, უბრალოდ, გაჩერებულია. მთავარი დასკვნა, რომელიც ამ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით ქალაქთმშენებლებს, დემოგრაფებს, სოციოლოგებს, სხვა სპეციალისტებს გამოაქვთ, ის არის, რომ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, ყველასთვის ჩვეული ქალაქების კონსტრუქცია თანდათანობით შეურიგებელ კონფლიქტში მოვა თანამედროვე ქალაქური ცხოვრების შინაარსთან: ადამიანებს სულ უფრო მეტად უჭირთ თანამედროვე დიდ ქალაქებში ცხოვრება, თუმცა კი, იქ მათი რიცხოვნობა განუზრვლად იზრდება.

ზოგიერთი ურბანისტიკის აზრით, პრობლემის გადაჭრა საჭიროა ქალაქებში მოსახლეობის ზღვრული რიცხოვნობის დანესებით და ისეთების შექმნით, სადაც 50-250 ათასი კაცი იცხოვრებს. პრობლემის ამ ერთი შეხედვით საცხებით მართებულ მოსაზრებაზე ოპონენტები პასუხობენ, რომ ამ გზით დღევანდელი მოსახლეობის დასაცავად დედამიწაზე... ადგილი არასაკმარისია. თუკი მოსახლეობა ასეთ პატარა-პატარა ქალაქებში იცხოვრებს, მაშინ, თურმე, მთელი სმელეთი ერთ უსასრულო ქალაქად გადაიქცევა! ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ დედამიწის სმელეთის 149 მილიონი კვადრატული კილომეტრიდან, კლიმატური პირობების მიხედვით, ადამიანის სამოსახლოდ ვარგისია მხოლოდ 70 მილიონი კვადრატული კილომეტრი, ხოლო განაშენიანებისთვის კი აქედან გამოსადეგია მხოლოდ 28 მილიონი კვადრატული კილომეტრი!

ამდენად, პლანეტარულ მასშტაბში საკითხი ასე დგას: თანამედროველად საჭიროა დედამიწის მოსახლეობის რაციონალურად განსახლება ისე, რომ ყველას ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონდეს; მეორე შესასრულებელი პირობა ისაა, რომ აუცილებელია პლანეტის რაც შეიძლება მეტი ბუნებრივი სიმდიდრის – ფლორისა და ფაუნის, ნაყოფიერი მიწების შენარჩუნება. პრობლემა, როგორც ვხედავთ, გლობალურია, მის გადაჭრაზე მრავალი ათეული წლის მანძილზე დიდი მონდომებით მუშაობენ ურბანისტიკები, ინჟინრები, არქიტექტორები, ბიონიკები, სოციოლოგები, დემოგრაფები, ეკონომისტები, ფუტუროლოგები, ბიოლოგები, მედიკოსები, აგრონომები, მრავალი სხვა დარგის სპეციალისტები. გარკვეულ ჯგუფებში გაერთიანებული, ზოგჯერ კი, სულაც ინდივიდუალურად, ისინი დედამიწის ურბანისტიკის სამომავლო, ხშირად კი სრულიად ფანტასტიკურ პროექტებს ამუშავებენ, რომელთაგან ზოგიერთი თანდათანობით განხორციელებასაც კი იწყებს.

მაგალითად, ზოგიერთი ურბანისტიკის აზრით, ქალაქების ეპოქის ადამიანები მინის ქვეშ ბეტონის, შუშისა

და პლასტმასებისგან შექმნილ გიგანტურ ნაგებობებში დაინყებენ ცხოვრებას. ამის მცდელობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დაიწყო: კერძოდ, ტოკიოში ქუჩა ახალი გინძა მინის ქვეშ გაყვანილი ერთ-ერთი პირველი მაგისტრალი იყო, რომელიც დღესდღეობითაც საიმედოდაა დაცული როგორც ამინდის ჭირვეულობისგან და გამოწვეული ქვი გაზებისგან, ასევე ჩვეულებრივი ქუჩის სიფათებისგანაც. მინისქვეშა ქუჩები პარიზშიც ააგეს – მაგალითად, ბულონის ტყის ქვეშ მთელი ახალი ბულვარი განათავსეს, ეტუალის ცნობილი მოედნის ქვეშ კი მისი ტყუპისცალია. ასეა მსოფლიოს მრავალ ქალაქში, ეს პროცესი თანდათანობით აქტიურდება და, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, სულ უფრო მეტად იხვეწება.

ქალაქთმშენებელთა სხვა ჯგუფს კი მიაჩნია, რომ 21-ე საუკუნე ზღვის ქალაქთა ეპოქის დასაწყისი იქნება, რომლებსაც იქ ააშენებენ, სადაც ამის შესაძლებლობაა ინჟინრებს სათანადო სიღრმე და არც მაინცდამაინც მაღალი მოქცევები მისცემენ – ვთქვათ, ჩრდილოეთის, ბალტიის, შავ და ადრიატიკის, აღმოსავლეთ ჩინეთისა და ყვითელ ზღვებში, მექსიკისა და სპარსეთის ყრებში, რიოდ-ჟანერიოს სამხრეთამერიკული სანაპიროდან მდინარე ლა პლატამდე. სხვაბაში შორის, „ნახევრად ზღვის ქალაქები“ უკვე რეალობად აქციეს დუბაიში.

ზღვის ქალაქების მშენებლობას სხვადასხვა ქვეყნის ინჟინრები სხვადასხვანაირად ხედავენ. მაგალითად, ევროპელი ინჟინრები ზღვების მეჩხერ უბნებში ჯერ ხიმინჯების ჩაჭედებას, შემდგომ კი მათზე ბეტონის ფილების დაგებას ვარაუდობენ, რომელთა სიმაღლე 1,5 კილომეტრი, სიგანე კი ერთი კილომეტრი იქნება, ხოლო მერე ამ პლატეფორმაზე 16-სართულიანი ამფითეატრს ააგებენ, რომლის ზედა სართულებში საცხოვრებელი ბინები, ქვევით კი საოფისე სათავსოები იქნება.

იაპონელები კი წყლის ზედაპირის ათვისებაზე ფიქრობენ და ეგრეთ წოდებული „მცურავი ქალაქების“ რამდენიმე, ვთქვათ, „ქალაქი-თევზების“, „ტალღების ქალაქების“ ვარიანტიც შეიმუშავეს. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ტოკიოს ყურეში ას მეტრზე მაღალი მცურავი პირამიდების ქალაქის მასივი უნდა გაშენდეს, რომლებმაც ხელოვნური მიწის როლი უნდა შეასრულონ. სხვა პროექტი გულისხმობს ცილინდრული ფორმის მცურავი გოდოლების შექმნას, რომლებიც ტოკიოს ყურეში იცურავებენ, მათზე კი ასევე ცილინდრული ფორმის საცხოვრებელი უჯრედები იქნება ჩამოცმული, რომელთა შეცვლა დროთა განმავლობაში, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ისევე იქნება შესაძლებელი, როგორც ხეები ყოველ წელიწადს ახალ-ახალი ფოთლებით იმოსებიან.

თავის დროზე სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი ნორმან მეილერი წერდა: „თუკი ჩვენ გვინდა, რომ კვლავც დარჩეს მინდვრები და ტყეები, პატარა ქალაქები, ისტორიულად ჩამოყალიბებული ძველი უბნები... და თუ არ გვინდა 500 კილომეტრზე გადაჭიმულ უსასრულო ქალაქებში ვიცხოვროთ... გამოსავალი ერთია – ქალაქები სიმალღეში უნდა იზრდებოდნენ და არა სიგანეში...“

ამიტომ, მოგავლის ქალაქებში, სმელეთის ტერიტორიის მინიმალური ადგილის დაკავების პირობებში, მოსახლეობის ოპტიმალური ოდენობა უნდა ცხოვრობდეს უკლებლივ ყველასთვის მაქსიმალური ყოფითი კომფორტის პირობებში. მრავალი ქალაქთმშენებლის აზრით, ამის გაკეთება მხოლოდ საჰაერო სივრცის ათვისებით შეიძლება და საამისოდ შედარებით ახალი მცენიერების – ბიოარქიტექტურის მიღწევათა გამოყენებაა საჭირო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნათელი, კეთილმოწყობილი მოგავლის უზრუნველსაყოფად, კაცობრიობამ ქალაქები უნდა იმავე პრინციპებით უნდა ააგოს, როგორც ბუნება საკუთარ თავს აშენებს: ისინი ჰარმონიაში უნდა იყვნენ გარე, უზარმაზარ, ნაირსახა სამყაროსთან, რომელშიც ქარიც ქრის, ზღვებიც ღელავს, ხეებიც ირნევა, ყვავილებიც ყვავიან და ფრინველებიც გალობენ.

ოთარ ტურაბაილიძე

ინფორმაცია

ჩინური კაპიტალი რიონის საპირფარეო

ცოტა ხნის წინანდელი ლარის „გულის შეტევის“ შემდეგ, რომლის რეცედივს მრავალი ექსპერტი წლელსაც პროგნოზირებს, ქვეყანას კარგს ბევრს არაფერს უქადის. ამ პირობებში, ბუნებრივია, მთავრობა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას გაათმავლებული ინტენსივობით ცდილობს. ამ მხრივ, მეტად საგულანსხმოა სოლიდური ჩინური კომპანიის „ჰუალინგ გრუპის“ იდეა ქუთაისში კიდევ ერთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ, კერძოდ, განაცხადა, რომ ამჟამად სამინისტრომ, სხვა უწყებებთან ერთად, ჩინურ კომპანიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ნებართვა რაც შეიძლება მალე უნდა მისცეს. მისივე თქმით, 150 მილიონი დოლარის ინვესტიციას ქუთაისისთვის, ზოგადად, დასავლეთ საქართველოსთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, რაც სავსებით გასაგებია, რადგან თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში არაერთი საწარმო იქნება ასაშენებელი, რაც მრავალ სამუშაო ადგილს შექმნის, რომელზეც აუცილებლად მრავალი ჩვენი თანამემამულე დასაქმდება.

ქვეყანაში ახალი სოლიდური ინვესტიციის შემოდინება, ცხადია, ყოველმხრივ მისასალმებელია, რადგან საკმაოდ მოკლე ვადაში მრავალი პირი დასაქმდება, მაგრამ ეს, ცხადია, შედარებით ხანმოკლე პერსპექტივაა. რაც შეეხება მომავალში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოქმედების შედეგად მოტანილ სიკეთეს, აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა. სადღეისოდ საქართველოში რამდენიმე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მოქმედებს, მათ შორის იმავე ქუთაისში, ასევე თბილისში, ფოთსა და ბათუმში, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში მათი წვლილის შესახებ რაიმე განსაკუთრებული თქმის საფუძველი არ არსებობს.

თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ეკონომიკური მომგებიანობის პრობლემა მართლ საქართველოში კი არა, მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაშია, სადაც ისინი არსებობენ. არადა, მთელ მსოფლიოში სამ ათასზე მეტი ასეთი ზონაა, რომელთაგან მეტ-ნაკლებად სარგებლის მომტანი მსოლოდ 20 პროცენტი, ამდენად, მათი ეკონომიკური ეფექტიანობის თაობაზე ექსპერტებში ერთიანი აზრი არ არსებობს. გარდა ამისა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნისას მთავარი მომენტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე. კერძოდ, მძლავრ, ეკონომიკურად კარგად განვითარებულ ქვეყნებში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის მთავარი მიზეზი რეგიონების განვითარებაა, რომლებსაც, სახელმწიფოს დანარჩენი ტერიტორიებთან განსხვავებით, სხვადასხვა სახეობის დამატებითი პრივილეგიები აქვთ, რაც იმითაა განპირობებული, რომ ისინი, ობიექტურ მიზეზთა გამო, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებულ ადგილობრივ პოლიტიკას „ვერ ერგებიან“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ზომითაც მცირეა და მოსახლეობის ოდენობითაც, ამდენად, ქვეყნის დანარჩენ ეკონომიკაზე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენენ. ამასთან, ასეთ ზონებში წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება საგრძნობლად მეტია, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირება გაცილებით მომგებიანია ეკონომიკური თავისუფლების შემზღვეველ დიდ ქვეყნებში, სადაც იაფი მუშახელი მრავალადაა და მისი თავმოყრა მალევე შეიძლება. თანაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შიდა ბაზრის სიდიდესა და, შესაბამისად, მოთხოვნის დონეს. მაგალი-

თად, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ჩინეთის თავისუფალი ზონებში ეკონომიკური ზრდის ტემპი ქვეყნის სხვა ნაწილებისას ხუთჯერ და მეტადაც აღემატებოდა!

ჩვენი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მიერ ტიპის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებად ქვეყანაში განთავსებაზე მიდგება. ამ დროს, ყურადღებას აქცევენ უწინარესად, რეცეპიენტი (ანუ განთავსების) ქვეყნის სიდიდეს, ეკონომიკური კანონმდებლობის ნიუანსებს, ბიზნესის კეთების სიმარტივეს, სხვა საქმიან თავისებურებებს. საერთაშორისო გამოცდილება იმასაც მოწმობს, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მოქმედება შეუდარებლად ეფექტიანია და, ამდენად, უფრო გამართლებულია ნაკლები ეკონომიკური თავისუფლების მქონე დიდ ქვეყნებში, სადაც იაფი მუშახელის მოკლე ვადებში მოზილიზება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს, თანაც სოლიდური მსყიდველობითი უნარის მქონე დიდი შიდა ბაზარი აქვთ.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა, ქვეყანაში კაპიტალის მოზიდვა ინვესტორთათვის გარკვეულწილად შეღავათიანი პირობების შექმნის გზით, თვალის ერთი გადავლებით, მეტად მიზიდველი პერსპექტივაა, თუმცა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყანაში ისინი განსხვავებული წარმატებით მოქმედებენ, თანაც მათ არსებობას გარკვეული, ასე ვთქვათ, „ჩრდილოვანი მხარეებიც“ ახლავს. თავდაპირველად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეყნის ერთ რომელიმე მხარეში შეღავათიანი ეკონომიკური რეჟიმის შექმნა, სხვა რეგიონებთან შედარებით სოციალურად არათანაბარი პირობების შექმნის საუცხოო ნიადაგია. ეს კი, თავის მხრივ, მომავალში ამ მხარეს ეკონომიკური ზრდის შემდგრად გარემოებად გადაქცევას უქადის, რის მიზეზი ის იქნება, რომ იქ ქვეყნის სხვა ნაწილებთან შედარებით უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესანარჩუნებლად, მთავრობას სათანადო სტრუქტურებსა და ინფრასტრუქტურაზე მეტი ხარჯის განევა მოუწევს. სხვაგვარად კი მთავრობა ვერ მოეცევა იმ მარტივი მიზეზით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებულ, ეკონომიკურად მომგებიან სანარმოებს დაკარგავს.

მეორე არასასურველი მომენტი ის არის, რომ ეკონომიკური პრეფერენციებით მოსარგებლე ზონები მომიჯნავე მხარეებისთვის ინვესტიციების ერთგვარ „მრუტავს“ წარმოადგენენ, რადგან კაპიტალი ისეთ გარემოში ბრუნვას ანიჭებს უპირატესობას, სადაც უფრო დიდი მოგებაა, რაც სავსებით გასაგებია. აქედან გამომდინარე, როცა ქვეყნის ერთ კონკრეტულ ადგილას კაპიტალისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები იქნება, ვიდრე სხვა კუთხეებში, ეს, ცხადია, იქ მის სიჭარბეს, სხვაგან კი შედარებით ნაკლებობას გამოიწვევს. ეკონომიკურად განვითარებული მხარეების გვერდით აშკარად ჩამორჩენილების არსებობა კი, თავისთავად, „ეკონომიკურ დაფერდებას“ გამოიწვევს, რაც არც ერთ ქვეყანას არ აწყობს: ხელისუფლება ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ყველა მხარის მიმართ თანასწორი ეკონომიკური პოლიტიკა გაატაროს, ინვესტიციებიც, ცხადია, შესაძლებლობის კვალობაზე, თანაბრად იყოს გადანაწილებული. ეს კი, თავის მხრივ, ეკონომიკური ტემპის ზრდის ერთგვაროვნებაზე აისახება.

თუ რა შედეგი მოჰყვება ქუთაისში კიდევ ერთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნას, ამას, ცხადია, მომავალი გვიჩვენებს, თუმცა კი, სოლიდური ინვესტიციის ქვეყანაში შემოსვლა, თავისთავად დიდად სასიამოვნო ფაქტია.

ოთარ მერიშვილი

კაკალ გულში

ნეკროლოგის თქაზები

ახლა, ამ წუთას საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მე-2 არხზე, იმედზე, „ოთხ რუსულ არხზე (რაც მე მაქვს) საზოგადოებრივ მიმდინარეობს. მართლ „რუსთავი 2“-ზე გადის გადაცემა „საზოგადოებრივი ცელი“. თვა წულუკიანს იუსტიციის სამინისტროს სახელით, ვითომდა „თავისი“ სამინისტროს საქმიანობის გაპიარების (ბიუჯეტი ხომ ჩვენი!) მიაქვს ამ ტელეკომპანიაში სააკაშვილის ვიდეორეგისტრაციის და მსგავსი გადაცემების დასაფინანსებლად!



ხელოვნება დროის სარკეაო, ნათქვამია. ამ სადღესასწაულო დღეებში, ტელევიზიებმა „ქეთო და კოტე“ ორ სარკეში ჩაგვანდეს. 1948 წლის (!) სარკე, ნიჭიერი, ლაღი და მდიდარი იყო.

2011 წლისა – უბადრუკი და კარიკატურული, „სიცილის ოთახში“ რომ სარკეებია, ისეთი.

„უკან წადიო, კაცო! – ქვეყანა წინ მიდის და მე უკან ვიაროო?“ – ჩიოდა ერთ ძველ იუმორისტკაში, „პრაგმატიკის“ მიერ უკან ვაგონებისკენ გაგზავნილი მგზავრი...

მგონი ექსპერტებმა იმაზე მეტი იციან ვიდრე იციან, და ეს არის პრობლემა.

ეკა ბესელიას ჩამოშლილი პიარ-მენეჯერმა ირაკლი მისიურაძემ ურჩია, ყველა საინფორმაციო საშუალება შენ გაგაშუქებო!

საკაშვილმა 2008–2012 წლის საარჩევნო პროგრამის ბოლო დაპირებაში – „საქართველო გაბრწყინდება“ – ზურა ჯაფარიძე იგულისხმა?

თეთრი ბესელია თეთრ თრთილზე თრთოდა...

აი, „ინტელექტუალი“ „მიშისტი“ რომ იყო ლაშა კილაძე. ვერ იხსენებთ? აი, ისა რა, „ზადროვი“, ქუთაისელი, გვარამიას ძმაცაი. ჰოდა, ეგ დაუნიშნავთ ნარკოლოგიის ცენტრის დირექტორად. რომელი ნარკოლოგი ეგაა? დაჟე ნარკომაზობასაც ვერ ქაჩავს, 2 მგ. შარდი არ ექნება ჩაბარებული სახელმწიფოსთვის. მოკლედ, ეძებენ „მიშისტებს“, თანამებრებზე დასანიშნად. „ზვიადისტები“ დასაქმებულები არიან, სვედიას თამაშობით და მეგრე, ალბათ, „ტროცკისტების“ დასაქმებაზე გადავლენ... სანამ ყარჩისა ხანი არ დაუნიშნავთ ეროვნული გვარდიის სარდლად, თავს ვუშველოთ!

ის არ გვეფიქსებს, რომ მანიაკ ნაციონალებს ვიტანთ პარლამენტში, ახლა სამედიანაც რომ გვმოძღვრავენ და პუტინივით შობას გვილოცავენ, ეგეც უნდა ავიტანოთ? საბოლოოდ გაპრაგუნენ არა?

ამოკრიბა
ბია ბაბრიძიძე

ალიანსალიანი

თალითოვის ფაქტა პართი

მოქალაქე დასაქმეს

ბრალდებულში ერთ-ერთ მოქალაქეს დაპირდა, რომ მსჯავრდებული პირის შეწყალების სანაცვლოდ, შეწყალების კომისიის წევრებს 5 000 ლარს გადასცემდა. რის შედეგადაც, მსჯავრდებული გათავისუფლდებოდა დარჩენილი მოსახდელი სასჯელისგან.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, აღნიშნულ თანხას დავით ჯინჭარაძე მოტყუებით, თალითურად დაეფულა. დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 180 - ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

აპოლოგული დიდი ოდენობით პერონი

შინაბან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით პერონი ამოიღეს.

ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული ერთი პირი, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვის ბრალდებით სარფში დააკავეს. საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ორ შეკვრად დაფასოებული პერონის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ნიონიონიდაში მამაკაცი გაიყინა

ნიონიონიდაში 50 წლის მამაკაცი გაიყინა. უამინდობის დროს, მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა, რის შემდეგაც ოჯახმა 112-ში დარეკა. შსს-ს ცნობით, მამაკაცი და სამართალდამცველებს რამდენიმე საათიანი ძებნის შემდეგ, 50 წლამდე მამაკაცი გაიყინული იპოვეს და მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

ინტერპრესი



ჭირო, საიდან მოდიხარ!

სააფთიაქო ნარკომანია „შპს ბაზარზე“ გადაინაცვლა

რთული ნარკოსიტუაცია ერგო მემკვიდრეობად ნაცების ხელისუფლებას. — ნარკომანიამ არნახული გაქაჩნა პპოვა, რაც საზოგადოების სამართლიან გულსწარმობას იწვევდა. „ვარდებით“ მოსულმა კრიმინოგენური ვითარების დარეგულირება ნარკომანიასა და ნარკომანზნესთან ბრძოლით დაიწყო. გახშირდა რეიდები, მაგრამ ბრძოლის ენთუზიაზმი მალევე ჩაცხრა. შს მინისტრმა ბარამიძემ სამინისტრო და მოუკიდებელ საქართველოს პერიოდში ყველაზე გამჭვირვალე გახადა, მაგრამ „ახალ ცოცხსაც“ შეეპარა პიარმანიამ. დაიწყო სრულიად უაზრო, კანაფის რეგიონებში დიდი მასივების მოჭრისა და შს სამინისტროს ეზოში განადგურების პროცესები. „ნათესების განადგურება“ გრძელდებოდა მანამ, სანამ ვიდრე მინისტრს არ აუხსნეს, რომ მსგავსი ლონისძიებების ტელეეთერით ჩვენება უარყოფით რეაქციას იწვევდა, რადგანაც მოსახლეობამ კარგად იცოდა, რომ მსგავსი ნარკოტიკის თესლს 3-ნ-წლიანი „საინკუბაციო პერიოდი“ აქვს და ნიადგში მოხვედრილს ამ დროის განმავლობაში ნებისმიერ დროში შეიძლება ამოვიდეს.

ნარკომანიასთან დაკავშირებით მორიგი პიარაქცია შს მინისტრად სააკაშვილის მიერ ხელისუფლების „ხერხემლად“ წოდებული ვანო მერაბიშვილის ყოფნის პერიოდში განხორციელდა. ნარკომანიასთან ბრძოლის მოტივით გამკაცრდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ როგორც შემდგომში მოვლენებმა გვაჩვენეს, ყოველივე კეთდებოდა არა ნარკომანიასთან ბრძოლის, არამედ ბიუჯეტის ფულადი სახსრებით შეესების მიზნით. სასამართლოები გაივსო ნარკოდანაშაულის ჩამდენთა საქმეებით ბიუჯეტი კი — მათგან შემოსული საპროცესო გარიგებებიდან, ჯარიმებიდან შემოსული თანხებით.

ისედაც რთული ნარკოვითარება არნახულს აღწევდა. მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავდა. ნაცებმა, მორიგი პიარკამპანია ჩაატარეს. რა დროსაც მოხდა საქვეყნოდ, ტელე-ეკრანებში თანდასწრებით მომხმარებელთა და გამსაღებლებისაგან ამოღებული ნარკოტიკების დანვა-განადგურება. „შოუ“ მაშინვე მოექცა სპაციალისტებისა და ექსპერტების კრიტიკის ქვეშ. უკმაყოფილება იწვევდა ის, რომ განადგურება მოხდა არსებული კანონმდებლობის სრული უგულებელყოფით. მას არ ესწრებოდნენ სპეციალისტები, საზოგადოების წარმომადგენლები. დანვა-განადგურების მომენტში, აქტის შემსრულებელთა ეკიპირება საქმეში ჩახედულთა განცვიფრებას იწვევდა. პოლიციელები შხამის ნამწვავის სუნსა და ბოლოში, ყოველგვარი აირინალებისა და სპეციალური ნიღბების გარეშე თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, მაშინ როდესაც წვის შედეგად გამოშვებულ აირს, თუ ის მართლა იმ რაოდენობისა და დასახელებისა იყო, როგორც მას წარმოგვიდგენდნენ „რუსთავი-2“ და ხელი-სუფლებასთან დაახლოებული მასმედიის წარმომადგენლებს, თავისუფლად შეეძლო არა რომელიმე კონკრეტული უბნის, არამედ რაიონის ჰაერის დაბინძურება-მოწმავლა.

როდესაც ამა არ გაჭრა და ნარკომანიამ ყველა უბანსა თუ დასახლებულ პუნქტს მიაღწია, როდესაც პატარა ბავშვსაც შეეძლო მიესწავლებინა, სად შეიძლებოდა ნარკოტიკის შექმნა, ხოლო მოსახლეობისთვის ცნობილი იყო მომხმარებელთა და გამსაღებელთა ვინაობა, მათი თავშეყრის ადგილები და როდესაც ამ მწვავე სენმა პირდაპირ თუ ირიბად მათ ოჯახშიც შეაღწია, საზოგადოებამ ხელისუფლების უმოქმედობის თაობაზე ღიად დაიწყო პროტესტის გამოხატვა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ექიმები, რომელთა მტკიცებულებითაც საქართველოში სისტემურად თუ დრო გამოშვებით მომხმარებელთა რაოდენობა 400 ათასს აღემატებოდა („მიხლოვებით“ იმის გამო, რომ არ არსებობდა ოფიციალური აღრიცხვინობა). მერაბიშვილმა, მორიგ ფარსს მიმართა — მან მოსახლეობას დახმარებისაკენ მოუწოდა. სრული ანონიმურობის შენარჩუნებით მათთვის, ვინც ნარკოტიკების რეალიზატორთა და მათი თავშეყრის ადგილების შესახებ ინფორმაციას მიანოდებდა, 1000-ლარიანი წამახალისებელი პრემია დაანესა, მაგრამ როგორც ოფიციალური წყაროები იუწყებიან, არც ერთი ამგვარი პრემია არ გაცემულა. მოსახლეობა უბრალოდ არ ენდობოდა პოლიციას — ასკვნიან სპეციალისტები.

შსს ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი ყოფილი

ეროვნული ბიუროს ყოფილი თანამშრომელი თადარიგის მაიორი მანუჩარ ფხაკაძე გვიხსნის: იმ დროს არსებობდა მუშაობის ამგვარი სქემა — სამართალდამცავები ალიანსში იყვნენ მსხვილ რეალიზატორებთან, აძლევდნენ ნარკოტიკების შემოტანისა და რეალიზაციის საშუალებას. შემდგომ კი აკავებდნენ მყიდველებს — ჯარიმები და საპროცესო გარიგებები სახელმწიფო საზინის მთავარი წყარო გახდა.

ყველაფერი ასე გაგრძელდებოდა, რომ არა გერმანიასა და თურქეთში დაკავებული საქართველოს გავლით ჩატანილი ნარკოტიკების დიდი პარტიები. ჩვენი ქვეყანა ავტო-სატრანზიტო ქვეყნის ნაცვლად ნარკოტიკ-რანზიტის სტატუსს იღებდა. ევროპულმა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციებმა თითი დაგვიქნეს და ხელისუფლებას შეახსენეს ის მრავალმნიშვნელოვანი ასიგნაციები, რაც საქართველოს ეძლეოდა, ნარკომანიის აღმოფხვრისათვის ზრუნვაში.

მაშინ კი დაფაცურდნენ ქვეყნის „ხერხემლის“ უწყებაში. ყველა „ბარიგას“ „გაჭრობის ლიცენზია“ ჩამოართვეს. ურჩებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევდნენ. ახლად გამოჩენილებს მკაცრად სჯიდნენ, მაგრამ ხელმძღვანელებმა ახალ გზას მიაგნეს და „ჰეროინი“, „ოპიუმი“ ქარხნული წესით



დამზადებული „სუბუტექსით“ ჩაანაცვლეს. შსს-ს მუშაობის მექანიზმი იგივე იყო — გაიყვება შსს-ს გადადგარი თანამშრომელი, მაგრამ საქართველო, გაეროს კონვენციის იგნორირებით აღნიშნული პრეპარატი ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში შეიტანა, არადა კონვენციის ხელმოწერთა (მათ შორის საქართველოს — ზ.ბ.) სიაში „სუბუტექსი“ ნარკოტიკულ ნივთიერებას არ მიეკუთვნებოდა. ამჯერად უკვე საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოდან წასულმა უამრავმა საჩივარმა აიძულა „ვარდოსნები“ ბიუჯეტის შეესების მავნე ჩვევაზე აეღოთ ხელი. იგივე გრძელდებოდა: ნარკომანიის „ნაცებისთვის“ ბიუჯეტის შეესებაში (მათ ხომ სახელმწიფო ხაზინა საკუთარ „ნაცებში“ ჰქონდათ გაიგივებული) კვლავ დიდი როლი ენიჭებოდა. **ნარკოტიკული შიმშილით დაკმაყოფილების მსურველთათვის გაჩნდა ახალი, ბევრად უფრო იაფი საშუალება-სააფთიაქო ნარკომანია. ფართო გაქაჩნება მიეცა დამანყარებელ ფსიქოტროპულ ნივთიერებების გაყიდვას. აქაც საინტერესო დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას ექსპერტები და სპეციალისტები. თითქმის ყველა ფსიქოტროპულ აფთიაქებთან მორიგეობდნენ სამართალდამცავები. ისინი ფსი-**

ქოტროპულიდან გამოსულ ახლაგაზრდებს აკავებდნენ, „გონივრული ეჭვის საფუძველზე“ ჩხრეკებს უტარებდნენ. მედიკამენტებისათვის, რომელთა შექმნა არ იკრძალებოდა, არ საჭიროებდა რეცეპტს, პიროვნებას აჯარიმებდნენ, ციხეში აგზავნიდნენ.

დამნაშავეობის სოციოლოგიის სპეციალისტი ნაილი ცხოვრებაძე ხელისუფლების ცვლის პარალელურად ნარკომანიის კუთხით დანაშაულის ზრდას, კოლეგებთან ერთად პროგნოზირებდა. მისი ვარაუდი ეყრდნობოდა შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას, როდესაც წინა ხელისუფლების მომხრეები (მათ შორის სამართალდამცავ სტრუქტურებში) ყოველმხრივ ცდილობდნენ ძალაუფლებაში მოსულისათვის მუშაობაში ხელის შეშლას. ამ მიზნით, მათ სრული თავისუფლება მისცეს მათ მიერვე „დაკონსერვებული“ ყველა ჯურის რეალიზატორს. ნარკოტიკმა უცხად იწყო შემოდინება. შსს-ს დიდი სამუშაოს შესრულება დასჭირდა თავის რიგების განმწმობისა და შემდგომ ნარკომანიისა და ნარკომანზნის ძველ ნიშნულზე დაბრუნებისათვის, ამბობს სოციოლოგი.

ახალმა მთავრობამ, შესაბამისი უწყებების მეშვეობით, კომპლექსური ღონისძიებები უკვე გაატარა ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიის აღმოფხვრის მიზნით. პირველი სექტემბრიდან, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, მედიკამენტების (მნიშვნელოვანი ნაწილის) შექმნა მხოლოდ ექიმების მიერ გამოწერილი რეცეპტით არის შესაძლებელი. ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განმარტებით საკანონმდებლო ცვლილებები „სააფთიაქო ნარკომანიასთან“ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობამ მოიტანა. მისი თქმით, წამლის თვითნებურად, ექიმის უნებართვოდ მიღებამ, პაციენტის სიცოცხლეს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას. მინისტრი თვლის, რომ „სააფთიაქო ნარკომანია“ წლების განმავლობაში იყო აბსოლუტურად უკონტროლო და კასკადურად მზარდი. მან გაანადგურა თაობები, ქრონიკული დაავადებების მართვა გახდა უკიდურესად არაეფექტური. სერგეენკოს თქმით, ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში, მედიკამენტები დაავადებულმა უნდა მიიღოს სანგრძლივად, მთელი ცხოვრების განმავლობაში. როდესაც ავადმყოფობა სწორად შერჩეული წამლებით იმართება, შედეგად თვალშისაცემია. საერთო ჯამში, მთავრობის მიერ ამ ეტაპზე გატარებულ შეზღუდვებს მინისტრი დადებითად აფასებს.

სერგეენკოს შეფასებას ნაკლებად ეთანხმება ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე. ეხება რა, რეცეპტულ ცვლილებებს, მას მიუღებლად მიაჩნია პროფესიული რეგულაციების პოლიციური რეგულირებით ჩანაცვლება. მისი განმარტებით შეზღუდვები ამცირებს რეკრეაციულ მიღებას (წამლით თრობის გამო), მაგრამ აღრმავებს პრობლემებს სამედიცინო დანიშნულებით წამლის საჭიროებას.

ექსპერტის თქმით, არავინ საუბრობს იმის შესახებ, რომ ლეგალურ ბაზარზე დეფიციტია ტკივილგამაყუჩებლებისა, რაც იწვევს პაციენტების არარაციონალურ მკურნალობას. ეს კი იწვევს მათი ისედაც მძიმე მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებას. პაციენტები, რომლებიც ადგილზე მკურნალობენ (იგულისხმება ჩვენი მეთოდოლოგია) იწყებენ მორფინით, ნაცვლად კოდეინ-პარაცეტამოლის ოპტიმალური დოზირებისა, რაც მათ სააფთიაქო ნარკომანიაში ჩაითრევს, მით უმეტეს, რომ დროთა განმავლობაში საჭირო ხდება დოზების მომატება. დაავადებულისადმი ამგვარი მიდგომა, რთულად გადასასწავლელი პრობლემაა.

რეფორმების ამოქმედებიდან 3 თვე გავიდა, სააფთიაქო ნარკომანია შემცირდა, მაგრამ არ აღმოფხვრილა. ახალგაზრდების „საყვარელი“ კოდეინი-ეფედრინის შემცველის შოვნა სხვაგანაც არის შესაძლებელი და გადამყიდველებთანაც შეიძლება მათი ყიდვა, ამბობს ნარკოლოგი გელა ლეყვა და სერგეენკოს უწყებას მუშაობის ეფექტიანობის გამართლების მიზნით სასჯელთა გამკაცრებისაკენ მოუწოდებს. იგი აქვე აღნიშნავს, რომ ბრძოლა ერთ აფთიაქს, ან ვილაც პიროვნებას კი არ უნდა გამოუცხადონ, არამედ კლანურ დაჯგუფებას, ვისი ორგანიზებითაც ხდება ყოველივე — მიიჩნევს ნარკოლოგი

ზაზა ბილინოძე

ალანგალიანი

ინჟაბა ინჟანტარიზაისის სრულმასშტაბიანი პროექტი

სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი მთელი ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს, — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პრეველმა მოადგილემ, დიმიტრი ქუშიშვილმა განაცხადა.

„პროექტის მიზანია სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და რეგისტრაცია ქვეყნის მასშტაბით. წლების განმავლობაში სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი აღურიცხავი რჩებოდა. ინვენტარიზაციის შედეგად კი, შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ქონების ზუსტი რაოდენობის დადგენა და გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა. აღნიშნული პროექტის მეშვეობით დაჩქარდება და კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდება პრივატიზების პროცესები, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება.“

მისივე თქმით, სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის საპილოტე პროექტი 2013 წლის მარტიდან დაიწყო.

აღინერა თბილისის 15 რაიონი და გარდაბანის მუნიციპალიტეტის ნაწილი. შედეგად, თბილისში გამოვლინდა 625, ხოლო გარდაბანში 122 აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი (აღმორჩენილი ობიექტების საერთო ფართობი დაახლოებით 5,5 მილიონი კვ.მ). აღნიშნული ქონების პრივატიზებიდან შემოსავალმა კი გასულ წელს 3 მილიონი ლარი შეადგინა.

დიმიტრი ქუშიშვილის განცხადებით, ინვენტარიზაციის მასშტაბური პროექტი ითვალისწინებს სააგენტოს სამხარეო ცენტრებში 14, ხოლო თბილისის ტერიტორიაზე 3-ორკაციანი მობილური ჯგუფის ჩამოყალიბებას. მისივე თქმით, პროექტის ფარგლებში დასაქმებული გარდა, შეირჩევა და გადამზადდება დამატებით 32 ახალი შტატგარეშე თანამშრომელი, რომლებიც უშალოდ განახორციელებენ ინვენტარიზაციის პროცესს და აზომეით სამუშაოებს.

ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, პროექტის ფარგლებში, გარდა არასასოფლო დანიშნულების ქონებისა, მოხდება სასოფლო დანიშნულების მიწების აღწერა, რაც ქუშიშვილის თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიზნების მიღწევას დაეხმარება. ქონების ინვენტარიზაციის პროექტი უკვე დაწყებულია და 2016 წლისთვის დასრულდება.

დავით ბარეჯაში დარბაზული ტიპის საპროსპექტო აღმოჩენის


დავით ბარეჯაში „დოდოს რქის“ მონასტრის მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, კლდეში, წმინდანთა გამოსახულებებით მოხატული, დღემდე უცნობი დარბაზული ტიპის სამლოცველო აღმოაჩინეს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ცნობით, სამეცნიერო თვალსაზრისით, მსგავსი აღმოჩენა უპრეცედენტოა, რც ადასტურებს, რომ მდიდარი მემკვიდრეობის მიუხედავად, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობდა ისეთი ძველი, რომელიც ამ დრომე ისტორიულ და სამეცნიერო წყაროში აღნიშნული არ იყო. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკა ანთიძე, ძველის შეფასებისა და გადაუდებელი გამაგრებით, გამარჩენილი სამუშაოების დაგეგმვის მიზნით, არქეოლოგებთან, არქიტექტორისა და კედლის მხატვრობის ექსპერტებთან ერთად, დავით გარეჯში ჩავიდნენ.

ინტერპრესი

ჭადრაკი

მედლახის, ფულადი პრიზების



ბათი მანდილოსანი და თექვსმეტი მამაკაცი ითამაშებს მოჭადრაკე ქალთა 72-ე და ვაჟთა 74-ე ეროვნულ ჩემპიონატებში, რომლის პირველი ტურის პარტიები ხვალ გაიმართება. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ: ქალებში - ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელიანი, ხურციძე, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, სოფიო გვეტაძე, ალექსანდრა ვახანია, ანა კუჭავა, მერი ჟორჯიანი (ისინი წრიული სისტემით ითამაშებენ); ვაჟებში - მიხეილ მჭედლიშვილი, დავით ჯოჯუა, ლევან ფანცულაია, ლუკა პაიჭაძე, კონსტანტინე შანავა, დავით მალაღაშვილი, თორნიკე სანიკიძე, შოთა აზაღაძე, გიგა ყუფარაძე, დავით ბენიძე, გიორგი სიბაშვილი, ივერი ჭილაძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, ნიკოლოზ ჩხაიძე და ზვიად ფაქია. აქ მედალოსნებს ოლიმპიური, ანუ ნოკა-უტისისტიკა გამოავლენს: ფინალამდე მოჭადრაკეები ორ-ორ კლასიკურ პარტიაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, შეხვედრის ფრედ (!!) დამთავრების შემთხვევაში კი მომდევნო ტურში გამსვლელთა იბრძვიან დაასახელებს. პირველი

და მესამე ადგილებისთვის მეტოქეები ოთხ-ოთხჯერ მიუსხდებიან საჭადრაკო დაფებს. ეროვნულ ჩემპიონატებში არ ითამაშებენ საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ლიდერები - ნანა ძაგნიძე და ბაადურ ჯობაძე, რადგან ნანა მეორე შვილს ელოდება, ბაადური კი ჰოლანდიაში ვეიკ-ან-ზეეს მე-20 კატეგორიის ტურნირზეა მიწვეული, სადაც მსოფლიოს ჩემპიონები - მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) და შოუ იფანიც (ჩინეთი) იასპარეზებენ. საქართველოს პირველობების გამარჯვებულები ნაკრებ გუნდებში დაიბევენ ადგილს, ხოლო პირველ-მესამეადგილოსნებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს. ჩემპიონატებზე მედლებთან ერთად დაწესებულია ფულადი პრიზები. ვაჟებში 4 საუკეთესო დაჯილდოვდება, შესაბამისად, 6500-5000-3500 და 2500 ლარით, ხოლო ქალებში პირველ-მესამე ადგილებზე გასულნი 5500-4500-3500-2500 და 1500 ლარს მიიღებენ.

ლაზა დიღია

ძიუდო

ავსტრიაში - ერთობლივ უპრემიუმ



საპარტიშლოს ძიუდოსტ ვაჟთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის - ირაკლი უზნაძის ხელმძღვანელობით ავსტრიაში გაემგზავრა - ქალაქ მიტერსილში ევროპის ძიუდოს კავშირის მიერ ორგანიზებულ საერთო სანაკრებო 10-დღიან კემპში მიიღებს მონაწილეობას. შეკრებაზე ძიუდოს ეროვნული ფედერაციის დაფინანსებით 16 სპორტსმენი წავიდა. ესენი არიან: ამირან პაპინაშვილი, ლაშა გიუნაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი, მინდია ლილუაშვილი (66), ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ზებედა რეხვიასვილი, ფრიდონ გიგანი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიაანი (81), ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი (90), ლაშა გურული, ალექსანდრე ზაალიშვილი (100), ადამ ოქ

რუაშვილი, ლევან მატიაშვილი (+100). ამ შემადგენლობას საკუთარი ხარჯით 3 ძიუდოსტი დაემატა: ბექა შავდათუაშვილი, გიორგი გუგულაშვილი (66) და ზვიად გოგოჭური (90). რაც შეეხება შეჯიბრებებს, 7-8 თებერვალს სოფიაში (ბულგარეთი) ევროპის ლია ტურნირზე საქართველოს გრან პრიზე მოსინჯავს ძალებს, 20-22 მარტს კი თბილისის გრან პრიზე იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ პარიზის დიდი სლემი ზაფხულის ნაცვლად შემოდგომაზე - 17-18 ოქტომბერს გაიმართება.

გივი გაგუა

კალათბურთი

ზაზა ფაჩულიას სამეგობრო დაჯილდოვდა

ზაზა ფაჩულიასთვის ორმაგი დუბლი ჩვეული მოვლენა ხომ გახდა და ქართველმა ფორვარდმა სამეგობრო დუბლს შეუტია. ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ მატჩში, რომელიც მისმა „მილუოკიმ“ ფილადელფიაში გამართა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ფაჩულიას გამოჩენილი შედეგამდე 3 პასი დააკლდა. ქულა-მოსხმები ზაზამ ორნიშნა რიცხვით გამოხატა, თუმცე პასებში „მხოლოდ“ 7-ს უწია და სამეგობრო დუბლს ვერ შესწვდა. აქ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს გავიხსენებთ. ოფიციალურ მატჩებში ზაზას სამეგობრო დუბლი არ გამოჩენია შეუსრულებია, თუმცე ამ გამოჩენილ შედეგამდე ყველაზე ახლოს გასული წლის 27 აგვისტოს გამარ-

თულ მატჩში იყო. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი თბილისში პორტუგალიასთან ჩაატარა და 71:59 იმარჯვა, ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ კი შეხვედრა 15 ქულით, 10 მოხსნითა და 9 პასით დაასრულა. სამეგობრო დუბლს მიუახლოვდა ზაზა გუშინ, გამთენიისას, ფილადელფიაშიც, სადაც „მილუოკიმ“



ადამიანი დროში

მისი ფილილის ურეპია

მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცირკის უკან, დიდი ხნის წინათ „ფიზკულტურელთა პარკი“ იყო, სასპორტო დარბაზებითა და სამი სხვადასხვა ზომის აუზით დამშენებული (მოგვიანებით ისინი მშენებლობამ შეინარა). მთელი



თბილისი იქ იყრიდა თავს. ახალგაზრდები „ლიაგუშაძისკა“ და „ბეგემოტნიკის“ (ასე ერქვა აუზებს) ცისფერ ბილიკებზე ეუფლებოდნენ ცურვას. ორმოციანი წლების მიწურულს სწორედ „ფიზკულტურელთა პარკში“ გადადგა პირველი ნაბიჯები ვლადიმერ გოიაშვილი, როგორც პროფესიონალი. ალლოიანი მწვრთნელის - გიორგი დათაძის ხელმძღვანელობით ისე გაიწავა ცურვაში, რომ წყალბურთობა თავკაცის, გულისხმიერი პიროვნების - ლუკა იოაკიმიძის ყურადღება მიიპყრო. ჭაბუკი სპორტსმენი მალე თბილისის „დინამოში“ აღმოჩნდა და წლების განმავლობაში მისი კარის უსაფრთხოებას იცავდა. 1953 წელს საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა, სამი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპორტაკადემიაზე საქართველოს ნაკრებთან ერთად მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო მოსკოვის გუნდთან.


ორმოცდაათიანი წლების მიწურულს „დინამოში“ ახალგაზრდა მეკარე ლერი გოგოლაძე დაინაშნა, რომელსაც მთელ საბჭოეთში ბადალი არ ჰყავდა. იგი საკავშირო ნაკრებშიც მიიწვიეს, 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა და მეორე ადგილი დაიკავა. - სიმართლე უნდა ვთქვა: ლერი გოგოლაძეს კონკურენციას ვერ გავუწევდი, ამიტომ „დინამო-

ში“ უქმად ჯდომას სხვაგან გადასვლა ვამჯობინე, - მითხრა ვლადიმერ გოიაშვილმა. - ასე აღმოჩნდით მე და გიორგი დარხველიძე თბილისის „ქარიშხალში“, რომელიც ერთი წლის შემდეგ საკავშირო პირველობის A კლასში გადმოვიყვანეთ.

სამოციანი წლების დასაწყისში სპორტის ოსტატმა ვლადიმერ გოიაშვილმა წყალბურთს თავი დაანება და სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე იმუშავა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტკომიტეტში განყოფილების გამგედ დაინიშნურეს და საწყლოსნო სახეობების ხელმძღვანელობა დაავალეს. ამ პერიოდს დაემთხვა მტკვრის სანაპიროზე დაკონსერვებული საცურაო კომპლექსის მშენებლობის განახლება, რომლის შემდგომედაც ბატონი ვლადიმერი დაინიშნა.

ყოველდღიურად უთენია მივდიოდი ობიექტზე და გვიანობამდე ვჩრდებოდი იქ, - იხსენებს იგი. - არნახული ენთუზიაზმი იყო. მშენებლობაში დიდი ინტერესს იჩენდნენ რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, ასევე, უბრალო თბილისელები. ქალაქის მოსახლეობას კარგად ესმოდა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად საცურაო აუზის მნიშვნელობა.

საერთო ძალისხმევამ კარგი შედეგი გამოიღო. საწყლოსნო კომპლექსი 1978 წლის 13 ოქტომ-



ბერს საზეიმოდ გაიხსნა. დირექტორად დაინიშნა „ლაგუნა ვერეს“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ვლადიმერ გოიაშვილი, რომელსაც უდიდესი ძალა და ენერჯია შეაღია თბილისის შუაგულში ოაზისის - სიჯანსაღის კერის მშენებლობაში.

ერთი კურორტი უნდა გაიშობოთ, რომელიც მაშინ თბილისელებს არც შეუმჩნევიათ, - ედიმება ყოფილ დირექტორს. - გამწვავებული პოლიტიკური ვითარე-

ბის გამო ირანმა საბჭოთა კავშირს გაზის მოწოდება შეუწყვიტა. წყალს ვერ ვატობდით და ახლადგახსნილი აუზი უმოქმედოდ რჩებოდა. სხვა გამოსავალი არ იყო - ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით გადაწყვიტეთ, ან-სამბლ „ივერიას“ აუზზე კონცენტრირებული გაემართა. მორებისგან ტივი შევკარი და ორი კვირის განმავლობაში ჩვენს სასიკეთლო მომღერლებს ისეთი ეგზოტიკური საღამოები გამოუვიდათ, რომ მაყურებელი არ მოჰკლებიათ. მერე პოლიტიკური ვენებათაღელვა ჩაცხრა, გაზის მოწოდება აღდგა და აუზიც ამუშავდა...

სამი ათეული წლის განმავლობაში „ლაგუნა ვერე“ გულღიად ხვდებოდა მომხმარებელს. ამ ხნის განმავლობაში 10 მილიონზე მეტი ადამიანს მოემსახურა. მის ცისფერ ბილიკებზე ათიათასობით ბავშვმა ისწავლა ცურვა. აქ იმართებოდა საერთაშორისო ტურნირები საწყლოსნო სახეობებში. ვლადიმერ გოიაშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა წყალბურთულ გოგონათა გუნდი „ივერია“ (მწვრთნელები - ბორის მეგედი, ვაჟა ჩერტოკოვი, ზურაბ ჩაჩავა), რომელმაც 1989-1990 წლებში საკავშირო პირველობებზე ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურა. ამ აუზში აღიზარდნენ სახელოვანი წყალბურთელები - მიხეილ გიორგაძე, ვლადიმერ ისელიძე, რევაზ ჩომახიძე, წყალმშტომელები - ლიანა ცოტაძე, გიორგი ჩოგოვაძე, სერგი შალიაშვილი, სიმქ-



რონული მოცურავეები - ქრისტინა ფალასანიდი, ნინო მაისურაძე და სხვები. საგულისხმოა, რომ მათ მიერ მოპოვებული წარმატებები ვლადიმერ გოიაშვილსაც მიუძღვის წვლილი, რადგან სწორედ ის გახლდათ ყოველი წამოწყებისა და სპორტსმენების თანამდგომი.

დღეს ღვანღმოსილ სპორტულ მოღვაწეს 80 წელი უსრულდება. ვულოცავთ!

ვაჟა დანელია

ენას ძვალი არა აქვს

ჭირები და სოლიდარული უპრეზუმი მოკაბათა

იტალიის ბულვარულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მილანის „ინტერნაციონალეს“ საპატიო პრეზიდენტი მასიმო მორათი ახალგაზრდა იტალიელ მოცევავეს ყვარობს და ამ ხნის კაცს თავზე ხელი აუღია, ცოლ-შვილი მიუტოვებია და ერთ ამბავშია...



ამ ჭორს სასწრაფოდ გამოეხმაურა თავად სენიორ მასიმო და ნაძირლელი უწოდა ყველას, ვინც ეს ხმები მოიგონა და გაავრცელა. მასიმოს შემდეგ კი ჟურნალისტები მისმა მეუღლემ, სენიორა ანჯელა მორათიმაც მიიწვია თავის ვილაში და ისეთი რამე-რუმეები თქვა, ცრემლი მოუვა ადამიანს. „ჩემი და მასიმოს მრავალწლიანი თანაცხოვრების მანძილზე ქმარში არასოდეს შემპარვია ეჭვი. არ ვიცი, ვინ ავრცელებს ამ ჭორებს, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენს დაშორებას შეძლებს, ძალიან ცდება, რადგან ეს შეუძლებელია“, - განაცხადა მორათის მეუღლე.

გიორგი შოთაძე

ასტროლოგიური პროგნოზი

ყველაფერი იქნება ამ წელს, ბარდა კორექტულობისა

ჩვენი გაზეთის მკითხველებს იანვრის ნომერში შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ინტერვიუს ასტროლოგ გიორგი რამიშვილთან. როგორი იქნება თხის (ცხვრის) წელიწადი ზოდიაქოს სხვა ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის? ასტროლოგი გვიმხელს, რომ ეს წელიწადი საკმაოდ კარგი აღმოჩნდება კატების, თხების და ღორებისთვის, საკმაოდ რთული ზოდიაქოს სხვა ნიშნებისთვის. ჩვენ ამის ცოდნა გვჭირდება იმისთვის, რომ თითოეულმა იცოდეს, რას აარიდოს თავი და როგორ შედეგს მიიღწიოს. ასტროლოგი დასძენს რომ ყველაფერი იქნება ამ წელს, გარდა კორექტულობისა.

პირთა: ამ წელს დაბადებული ადამიანებისთვის, თხის წელიწადი ცოტა დამაღლებელია. იმიტომ, რომ ვითხრას უყვარს ჩვენება, თუ რა მაგარია, მაგრამ, მათ დიაპაზონი დიდი არა აქვთ. მშრომელი, მაგრამ როგორც წესი, მენვერილმანე ხალხია. როგორც კი მასშტაბურ საქმეს გამოეკიდებიან, უყვართ იმის თქმა, რომ ისინი მენვერილმანეები არ არიან. ამ დროს დიად საქმეებს გაბრუნებული წინააღმდეგობა შეიძლება გაიხლართონ თხის წელიწადში. აქ უნდა გაკეთდეს მათთვის პატარა რჩევა, აკეთონ საქმე, იშრომონ ბევრი, მაგრამ ნუ შეეცდებიან, რომ სახელს და დიდებას მიიღწიონ. ის თავისით მოვა, მაგრამ თუ ამას ვერ შეეცდებიან, მაშინ შეიძლება სერიოზული დანაკარგი განიცადონ.

ხარი: ამ წელს დაბადებული ადამიანებისთვის არის უმძიმესი წელი. ხარს შრომა უყვარს და ხმაური არა. მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს ხმაური მაინც იქნება და ისწავლონ, რომ შრომას მიაქციონ ყურადღება. ასევე არაა სასურველი მოტყუებდნენ, რომ ვიღაცას უნდა მათი ლიდერობა და წინ წავიყვანო. ამიტომ, ნუ დაიჯერებენ, როდესაც მათ ყურში ჩასწურაფლებენ, რომ მაგრები არიან და ყველაფერს მიაღწევენ. ვერ მიიღწევენ ყველაფერს, საქმე აკეთონ და იშრომონ, ასეთ შემთხვევაში, ეს წელიწადი მალე გაივლის და შემდეგ წელიწადი უფრო კარგი იქნება მათთვის.

შეფხვი: ხმაურიანი და ნერვების მომწიკი წელი იქნება ვეფხვისთვის. ვეფხვს დიდი საქმეები წყურია, უნდა, რომ დიდი საქმეები გაკეთდეს და ამ დროს აღმოჩნდებოდეს, რომ არაფერი არ კეთდება. ან კეთდება თუ არა, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ დადგმა იმისა, რაც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. ვეფხვისთვის რჩევა შეგიძლია, რომ არ შეეცადონ ამ ყველაფრის დასრულებას და თავისი გრანდიოზული გეგმები გადაადონ შემდეგი წლისთვის, ან იმის შემდგომი წლისთვის, თუკი ამას დასთანხმდებიან. საერთოდ, თუ ვინმეს ჰყავს ახლობელი ვეფხვი და თავის გამოჩენის საშუალება აქვს, ვურჩიოთ ისიც, რომ გვერდზე დაუყენონ გველეშაპის ან ძაღლის წელიწადში დაბადებული ადამიანი. ეს არის ორადიკალი შანსი, რომელსაც ვეფხვი უსმენს.

ბაბა: ამ წელს დაბადებული ადამიანებისთვის ნორმალური წელიწადია. აქვთ ლავირების საშუალება და ეს სიტუაცია ძალიან სასარგებლოა მათთვის. შეიძლება ჰქმნიდნენ ილუზიას, რომ დაილაღნენ, სინამდვილეში ძალიან კარგად არიან და იმის ჭკუა ყოფნით, თქვან, რომ ეს არაა ძალიან კარგი. შესაბამისად ექმნებათ ძალიან კარგი გარემო იმისათვის, რომ დიდი შედეგები მოიგვან.

დრაკონი: ამ წელიწადში დაბადებული ადამიანებისთვის ცოტა დამაღლებელია პერიოდი. ჯობია, საქმე გააკეთონ და ზედმეტი ხმაურისგან თავი შეიკავონ. გრანდიოზული საქმეები კეთდება, მაგრამ არაა საშუალება, რომ ის იყოს ლიდერი. თუ შეეცდებიან, რომ იპოვოს კარგი სამუშაოები, ან ერთი, ან რამდენიმე, რომლებშიც თავის ბრწყინვალე წვლილს ჩადებს, მაგრამ თვითონ არ იქნება პირველი, ასეთ შემთხვევაში დრაკონიც ნორმალურად გაივლის ამ წელს.

გველი: ძალიან მარტივი რჩევა გველებს: გველი ჭკვიანია, ჯობია დაფიქრდეს, სად ჯობია, რომ იყოს კონსულტანტი. მივიდეს, ურჩიოს, რადგან თხას ეს ძალიან მოსწონს. როგორც კონსულტანტი მშვიდად და წყნარად, შეიძლება ფინანსურად დასაჩუქრებულიც აღმოჩნდეს. ასე რომ, საკმაოდ კარგი წელიწადია მოსარგებლის კუთხით.

რად, შეიძლება ფინანსურად დასაჩუქრებულიც აღმოჩნდეს. ასე რომ, საკმაოდ კარგი წელიწადია მოსარგებლის კუთხით.

ცხენი: ძლივს დადგა კარგი წელი! დაძაბული საკუთარი წელიწადი ისტორიის ჩაბარდა! თუ ზარალის გარეშე გაიარა წინა წელი, ახლა წარმატებების იმედიც შეუძლია ქონდეს. ნოყიერი გარემოა თანამოაზრების შემოსაკრებად და დიდი პროექტების განსახორციელებლად, ოღონდაც არ დაივიწყოს სამართლიანობა და კორექტულობა! ხმაური, თეატრალურობა, ჭრელა-ჭრულა სიტუაციები მას სულაც არ ახნებს. იგი ერთობას და შედეგსაც შედარებით ადვილად აღწევს. არც სიყვარულში აქვს საქმე ურთივით.

თხის წელი: ფანტანსტიური გარემოა, ზუსტად ის არის, რაც მათ უყვართ. ანუ - მიდი-მოდი, ცოტა არეულობა, ცოტა უცნაურობა და ლამაზად გაფორმება. სტაბილურობის მოთხოვნა ამ წელიწადისთვის არ შეიძლება. მიეცემა იმის საშუალება, რომ ერთი წლის განმავლობაში იბრწყინოს, შემოირიგოს გარემო ხალხი და მათთან ერთად მიიღწიოს თავის შედეგებს. თუ არაკორექტულად მოიქცევა, იქით წელიწადს სამაგიეროს გადაუხადონ და აზღვევინებენ თუ სხვის ხარჯზე გააკეთებს ამ ყველაფერს.

მარტო ლაიკოვილი: გარემო შემოკრებილ ხალხთან ერთად მიღებული შედეგები უნდა განანიღდეს ყველას შორის.

მაიყუნი: ძალიან ნორმალური წელია. უკვე გეგმები აქვთ დალაგებული. შესაძლო არეულ-დაბრუნებაში, სერიოზული ხეირი უნდა ნახონ. ოღონდ გავაფრთხილოთ ერთ რამეში, ყველაფერში ხეირს ნახავენ, გარდა სიყვარულისა. სიყვარულში მიიღებენ კარგ შედეგს, თუ შეეცდებიან, რომ მართლა პატივისცემაზე აწყობილი ურთიერთობა ჰქონდეთ. ამიტომ, მაიმუნისთვის საკმაოდ ნოყიერი წინააღმდეგობა მოიპოვოს ფინანსური შესაძლებლობა.

ბაბალო: საკმაოდ ნორმალური წელიწადია, თუმცა იღვება ამ არეულ-დაბრუნებაში. სამაგიეროდ შრომა არ ეზარება და აქვთ იქით გადმოცეცილი შედეგები შეუძლია მშვენივრად აკრიფოს. მაშლისთვის ეს არაა საუკეთესო წელიწადი, მაგრამ ჯობია, კინკლაობაში არ ჩაერიოს და სხვების მიერ ნახევრად მიტოვებული საქმეები, ბოლომდე მიიყვანოს.

ძაღლი: ძალიან მძიმე წელიწადია. ძალი კორექტულია და საქმის გაკეთებელი, მაგრამ კორექტულობის გარდა ყველაფერი ხდება ამ წელიწადს. შესაბამისად, ძალიან დამაღლებელი სიტუაციაა. ვურჩევ, რომ თავშეკავებულობა ეყოს და არ ჩაერიოს გრანდიოზულ გეგმებში, რომლის განხორციელება შეუძლებელია. არ ინერვიულოს იმ სისულელეებზე, რომელსაც გარემო დააფიქსირებებს. ეს იქნება დროებითი ამბავი და მერე ყველაფერი ნორმალურად განვითარდება.

ლორი: ფანტანსტიური წელია ღორებისთვის, პრაქტიკულად საუკეთესო. თითქოს ყველაფერი იწყება და კეთდება მის გარემოში, არაფერი მთავრდება უშედეგოდ. ყველაფერი შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს და მაქსიმალურად იხეიროს. იმდენად კარგად შეიძლება იგრძნოს თავი ღორის წელიწადში დაბადებულმა მშრომელმა ადამიანმა, რომ სულაც არ დაენანება სხვებსაც საკმაოდ უწილად.

თამთა ძარჩავა

შვილები ელიკო, ნინო ყიფიანები, სიძეები ალექსანდრე ჯანიანი, თემურ ერგეშიძე, რძალი ნინო ცინცაძე, შვილიშვილები ვასო, ნინო ჯიანიანი, სანდრო, ელენე ერგეშიძეები, ბიძაშვილი დალი ჯღარკავა იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა

მარტო (მარტო) სერაფიონის ასული ლაიკოვილი

პანაშვილი 9, 10, 17 სთ. გამოსვენება 11, 14 სთ. მისამართი დიდიმის მასივი, III კვ., I კორპ., მე-2 სად., მე-4 სართ., ბინა №59.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები დიდი გულსიტყვილით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთის უზუცესი, ღვაწლმოსილი მუშაკი, გამორჩეული პროფესიონალი, ჩინებული მანდილოსანი, ერთგული და უღალატო მეგობარი

მარტო ლაიკოვილი

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ქალიშვილებს, რომლებიც ფაქტობრივად ჩვენს რედაქციაში აღიზარდნენ.

საქართველოს მებრუნეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მებრუნეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმამუნხარებით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული ექიმი მებრუნეკოლოგი, მედიცინის დოქტორი



ნანი მელიქონის ასული მახარაძე

ქალბატონი ნანი განსაკუთრებით გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის პროფკავშირის ორგანიზაციას, აქტიურად მონაწილეობდა მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მან მეცნიერულად შეისწავლა რუსთაველის მეტალურგიულ ქარხანაში და ქიმიურ კომბინატში მომუშავე ქალთა სისხლში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმები, რის საფუძველზე შეიმუშავა მნიშვნელოვანი პრაქტიკული რეკომენდაციები. ქალბატონი ნანი იყო ენერგიით სავსე, უაღრესად თბილი ადამიანი, მაღალკვალიფიციური ექიმი, კარგი მეგობარი, ბრწყინვალე დედა და მეუღლე. ის ვალდებული წავიდა ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვა დიდი ტკივილი. ქალბატონი ნანის სსოვნადიდას დარჩება თანამშრომლების, მეგობრების, მადლიერი პაციენტების და მისი დიდი ოჯახის გულში.

ბალიკო კინტარია ოჯახით მუნხარებას გამოხატავს ახლო მეგობრის, ცნობილი მებრუნეკოლოგის

ნანი მახარაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.


არდავიწყება

ლაშაზი სულის კაცი

რეზაზ მიძაბერიძის სსოვნა

40 დღე გავიდა უშენოდ, ტკივილიანი, ტირილიანი და მძიმე 40 დღე. დღეს შენი ნათელი სული წარსდგება უფლის დიდ სამსჯავროზე, დარწმუნებული ვართ, რომ შენთვის სამოთხის კარი გაიღება, რადგანაც მუდამ სამშობლოს მომავალზე ფიქრით, უდიდესი მოქალაქეობრივი მრწამსით, ქართველი კაცის საუკეთესო თვისებებითა და ტრადიციებით, სამაგალითოდ, პატიოსნად იღვანე ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, სიმართლით, სიკეთითა და მადლით იცხოვრე ამქვეყნად.

ქალიან გვეამაყება, რომ იმ საპასუხისმგებლო პოსტებზე, სადაც კი გიმუშავია (სახალხო კონტროლის კომიტეტი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო, უშიშროების საბჭო და სხვა), ყველა დროში, ყველა ხელისუფლებისათვის შეუცვლელი და ფასდაუდებელი იყავი როგორც შენი საქმის უზადლო მცოდნე და დიდი პროფესიონალი. ყველას ანცვიფრებდი შენი უდიდესი პასუხისმგებლობით მინდობილი საქმისადმი, შრომისმოყვარეობით, მასშტაბურად მცოდნე და დიდი პროფესიონალი. ყველას ანცვიფრებდი შენი უდიდესი პასუხისმგებლობით მინდობილი საქმისადმი, შრომისმოყვარეობით, მასშტაბურად მცოდნე და დიდი პროფესიონალი.



ქალიან გვეამაყება, რომ იმ საპასუხისმგებლო პოსტებზე, სადაც კი გიმუშავია (სახალხო კონტროლის კომიტეტი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო, უშიშროების საბჭო და სხვა), ყველა დროში, ყველა ხელისუფლებისათვის შეუცვლელი და ფასდაუდებელი იყავი როგორც შენი საქმის უზადლო მცოდნე და დიდი პროფესიონალი. ყველას ანცვიფრებდი შენი უდიდესი პასუხისმგებლობით მინდობილი საქმისადმი, შრომისმოყვარეობით, მასშტაბურად მცოდნე და დიდი პროფესიონალი. ყველას ანცვიფრებდი შენი უდიდესი პასუხისმგებლობით მინდობილი საქმისადმი, შრომისმოყვარეობით, მასშტაბურად მცოდნე და დიდი პროფესიონალი.

გამზრდელი ბებია-ბაბუები-საგან გურიანში, სადაც დიდი სამამულო ომის წლებში იბრდებოდი, შემდგომ კი მშობლებისაგან, მემკვიდრეობით გადმოგეცა უხვად მომადლებული კაცთმოყვარეობა, სიკეთის ქმნის, ურთიერთგატანის ნიჭი, რაც შენი ცხოვრების წესად აქციე.

ბევრი გეგმა და ჩანაწერი დაგრჩა, კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეგეძლო, მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ დაგძლია. ძალიან დაგვაკლდი ყველას, შენს ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, მეზობლებს შენს ყიფშიძის ქუჩას, შენს ბაბს, რომელიც ნაგავსაყრელიდან წალკოტად აქციე. გულწრფელია და უდიდესი შენი წასვლით გამოწვეული ტკივილი და სევდა. იძინე მშვიდად შენი მშობლების გვერდით, შენ ვალდებული ხარ, თავს დაეხმე, ამაყი და ღირსეული წახვედი.

ამიერიდან შენ, ნეშტად ქმნილი, ვერის უძველესი და ლამაზი სასაფლაოს ბინადრად მოიკითხები, შენი სული კი ზეცაში დაიმკვიდრებს ადგილს.

შენი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა სსოვნა, უდიდესი პატივისცემა და სიყვარული, რომელიც არასოდეს ჩაიფრდება.

ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს, ლამაზი სულის კაცი.

მეუღლე ირინა, შპა ზურაბ მიძაბერიძეები

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84.

ალილოზა



იმ ღამეს, იმ წმინდა ღამეს...

თითო სტიქარებში შემოსილმა „ანგელოზებმა“, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა, მწყემსურად ჩაცმულმა დიდ-პატარამ საშობაო მსველელობა გამართა 7 იანვარს საქართველოს ყველა ქალაქში.

ვალე დლესასწაული პირველია, რომელსაც დედაქალაქის მერის რანგში ვხვდებით, — თქვა დავით ნარმანიამ. — ეს ჩემთვის უდიდესი პატივია, თბილისის მერია ყველა ღონეს იხმარს საიმისოდ, რომ ამ უდიდეს ზეიმში ღირსეული წვლილი შეიტანოს.



პროსპექტზე მთელი ქვეყნის თავდაპირველად პარლამენტის წინ შეჩერდნენ, სადაც მათ მისი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და დეპუტატები შეეგებნენ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უნმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიულოცეს, მეორემ კი საქართველოს პრეზიდენტის სასახლესა და სამების საკათედრო ტაძარს მიაშურა, სადაც საშობაო პარაკლისი გადაიხადეს.

ნიმე ალმასანდრია

ტესტი

უბედურებაა სიხივე - ჩაბღენი ვიხინე!

არამყარია ზამთარი — ყოველგვარი გაციებითი დაავადების ნამდვილი პროვოკატორია. უპასუხეთ შემოთავაზებულ შეკითხვებს და გაიგეთ, რამდენადაა მზად თქვენი ორგანიზმი, დაუპირისპირდეს ამგვარ უსიამოვნებებს.

- 1. თქვენი ძილის ხანგრძლივობა საშუალოდ არის არანაკლებ ექვსი-შვიდი საათისა? ა) არა; ბ) დიახ.
2. განუხებთ ძილის დარღვევა, ხშირად განიცდით დაძინების პრობლემებს? ა) დიახ; ბ) არა.
3. ძალიან გიჭირთ გადაიძებთ დილაობით? ა) დიახ; ბ) არა.
4. იმის ნაცვლად, რომ მიიღოთ კონტრასტული შხაპი, გირჩევნიათ ხუთი წუთი ინებდით ლოჯინში? ა) დიახ; ბ) არა.
5. ჯდომითი სამუშაო გაქვთ? ა) დიახ; ბ) არა.
6. მეგობრობთ სპორტთან, რეგულარულად დადიხართ სატრენინგო დარბაზში ან ასრულებთ ვარჯიშებს? ა) არა; ბ) დიახ.
7. გახდით გაღიზიანებული, ის კი, რაც განწყობილებას გიუმჯობესებდათ, უკვე აღარ გახარებთ? ა) დიახ; ბ) არა.
8. ამწვეთ, რომ ქუჩაში, მიუხედავად თბილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა, მალე გიცვიდებთ ხელები და (ან) ფეხები? ა) დიახ; ბ) არა.
9. იშვიათად ხართ სუფთა ჰაერზე? ა) დიახ; ბ) არა.
10. შესამჩნევი დატვირთვის მიუხედავად, უკვე გრძობთ გულს ცემას? ა) დიახ; ბ) არა.
11. მოგდით თავბრუსხვევა, ხშირად განუხებთ თავის ტკივილი? ა) დიახ; ბ) არა.
12. ენევი? ა) დიახ; ბ) არა.
13. სტრესი თქვენ ცხოვრებაში იშვიათი სტუმარია? ა) არა; ბ) დიახ.
14. ჩვეულებრივად, გყოფნით დრო იმისთვის, რომ დაისვენოთ სამუშაო დღის შემდეგ? ა) არა; ბ) დიახ.
15. ინართობთ ორგანიზმს? ა) არა; ბ) დიახ.

- 16. თქვენს მენიუში ყოველთვისაა ბოსტნეული და ხილი? ა) არა; ბ) დიახ.
17. ცდილობთ რომ დაიცვათ კვების რაციონალური რეჟიმი? ა) არა; ბ) დიახ.
18. თქვენი წონა ნორმის ფარგლებშია? ა) არა; ბ) დიახ.
19. განუხებთ ქრონიკული დაავადებანი? ა) დიახ; ბ) არა.
20. თუ ხდება ხოლმე, რომ გრძობთ მოულოდნელ დადღილობას, თუმცა, საერთოდ, არ გადადღილხართ? ა) დიახ; ბ) არა.



ყოველ პასუხზე „ა“ ღიწმეკით 2 ქულა, ყოველ პასუხზე „ბ“ - ქულა არ იწმეკება. შუაჯამით ქულები და გააკითხეთ დასკვნა:

0-10 ქულა. თქვენ სავსებით შეგიძლიათ, იქონიოთ იმედი, რომ თქვენი ორგანიზმი წარმატებით ართმევს თავს ყველა გამოცდას და გაციებითი დაავადებანი გვერდს აგვივლიან იმის წყალობით, რომ თქვენ გონივრულად უხამებთ ერთმანეთს პროფილაქტიკურ საშუალებებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს.
12-24 ქულა. თქვენ ეთანხმებით ძველ სიბრძნეს: „კაცი, რომელიც არ ზრუნავს თავისი ჯანმრთელობისთვის, ჰგავს ხელოსანს, რომელსაც არ სცალია, რომ გაღვსოს თავისი ინსტრუმენტები“. მიუხედავად ამისა, ახლა, სეზონების ცვლის პერიოდში, დიდი ყურადღებით ცდილობთ, მიხედოთ საკუთარ ჯანმრთელობას. გაციებითი დაავადების პროფილაქტიკისთვის იყენებთ ისეთ საერთო გამაჯანსაღებელ ხალხურ საშუალებებს, როგორებიცაა ძახველი (ყველაფრის გარდა, იგი გვემარება დავმშვიდდეთ და მოვიხსნათ დაძახებულობა), ასკილი, ქაცვი (შესანიშნავი საშუალებაა, რომ ავიმალლოთ იმუნიტეტი), ლიმონი, მოცხარი, თაფლი და, რასაკვირველია, ტრადიციული ხახვი და ნიორი. არ ივიწყებთ ფიტოპრეპარატებსაც. ნუ გადადიხებით და უფრო ხშირად იყავით სუფთა ჰაერზე. ნუ დაიზარებთ, გაიკეთოთ აუცილებელი პროფილაქტიკური აცრები, მანამდე კი აუცილებლად მიიღეთ ექიმის კონსულტაცია. გახსოვდეთ: დაავადების თავიდან აცილება ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე მკურნალობა!

26-40 ქულა. თქვენ რისკის ჯგუფში ბრძანდებით. დროა, დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეიცვალდით თქვენი ცხოვრების წესი. ეცადეთ, იმოძრაოთ რაც შეიძლება მეტი, ნუ ზიხართ შენობაში. დაიწყეთ დილა თუნდაც მსუბუქი მოკლე ვარჯიშებით. ეცადეთ, გვერდი აუაროთ სტრესულ სიტუაციებს და დაიცვათ კვების სწორი რეჟიმი. გამოიყენეთ სეზონის შესაძლებლობანი, მეტი ყურადღება მიაქციეთ ხილსა და ბოსტნეულს, რაც ახლა უხვადაა, სვით ახლად გამოწურული წვენი. მარტივი მასაჟის დახმარებით გაიმარტეთ სისხლძარღვები. სამასაჟო ჯაგრისით (ან მაგარი პირსახოცით) დაიზილეთ ტერფები და მტევნები, განსაკუთრებით ხანგრძლივი გასეირნების წინ. ასეთი მარტივი პროცედურა გააუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რაც დაგეხმარებათ იოლად გადაიტანოთ სიცივე და თუ ადრე არასოდეს გაგიკეთებიათ, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ გაიკეთეთ გრიპის ვაქცინაცია (ერთი სანაღამდეგო მაჩვენებელი შეიძლება გახდეს ალერგია ვაქცინის კომპონენტებზე).

რეკლამა
29 9-62-77;
568 82-09-84.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

- შიხო, რას აკეთებ?
- არაფერს...
- გამოგდის?
...
- რა უნდა ვუთხრათ გოგოს, რომელსაც ორივე თვალი ჩალილაგებული აქვს?
- რა არის აქ სათქმელი, თუკი მას უკვე ყველაფერი უთხრეს, თანაც ორჯერ...
...
- მძიმო, თავი რატომღაც კიტრივით მაქვს წაგრძელებული,
- შესჩივის პაციენტი თერაპევტს.
- ეს, ჩემო კარგო,

გინეკოლოგისთვის უნდა გეტყვათ ამ ოცდაათი წლის წინათ.
- ვუთხარი კი არა, ვუყვიროდი კიდეც, მაგრამ...
...
- მძიმე ყველაფერი შემიძლია!
- ჩუმად ყოფნა თუ შეგიძლია?
- ყველაფერი შემიძლია, მაგრამ ჩუმად ყოფნა არა!
...
რუსული ოპტიმიზმი - ჩვენ ცუდი გზები კი არა, საუცხოო უგზოობა გვაქვს!

ავტორთა სახურადაღივრად!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.
საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მ. ანვლიანის (მთწილი) პარკისკადას) მ. 19
ინვლიანის 66434
გამომცემი: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
uac(უაკ)070.4(479.22)
ISSN 2233-3851
9 772233 1385001
მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსნი 599 17-21-21;
საბრტაძე მოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუშა ვაშაქიძე 514 33-33-24